# მწყემსი

1883-1890

«მწყემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

შინაარსი: ქართული საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის შესახებ. — «მწყემსი»-ს კორრესპონდენცია პეტერბურღიდგან. — «მწყემსის»-ს კორრესპონდენცია ეკატერინენფელდიდგან. — † უღვლად სამღვდელო იოსები ყოფილი ეპისკოპოსი ვლადიკავკაზისა. — ჭინჭრაქა. — პასუხი ქართული ხმების მოყვარეს. — საისტორიო მასალები. — ახალი ამბები და შენიშვნები. — სიტყვა პირუტყვების შებრალებაზე თქმული, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისაგან. — მრავალ წამებული იობი. — სასარგებლო ცოდნა. — განცხადება.

ცეცხლის ზიანის
მზღვეველ საზოგადოების
«ЯКОРЬ»-ის
აგენტი ქუთაისში
ილია მირიანის ძე ჭყონია
იღებს საზღვევად ყოველგან ქუთაისის გუბერნიაში და სუხუმ-ს ოლქში შენობებს, მოძრავს ქონებას და ზღვით ანუ ხმელეთით გასაგზავნს საქონელს. ადრესი: ქუთაისი, ი. მ. ჭყონია.

## ქართული საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის შესახებ.

წარსულს წელში ჩვენ ვაუწყეთ ჩვენს მკითხველებს, თუ რა მდგომარეობაში იყო უწინ ქართული საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმე. მოკლედ გავიმეორებთ ჩვენს ნათქვამს ამ საგნის შესახებ.

პირველად ჩვენი ქართული საეკკლესიო წიგნების ბეჭდვა დაიწყო მოსკოვში, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ სტამბა დაარსდა თბილისში ვახტანგ მეფის დროს. XVIII საუკუნის დამლევს იმერეთის მეფე სოლომონ მეორემაც მოიწვია ვალახიიდგან ვინმე მიხეილი, მცოდნე სტამბის საქმისა, დააარსა სტამბა ქუთაისში საეკკლესიო წიგნების საბეჭდავად. ეს სტამბა, როგორც მოწმობს ძველი წიგნების წარწერანი, იმყოფებოდა სახლთხუცესის ზურაბ წერეთლის მხედველობის ქვეშ. ჟამის გაჩენის შემდეგ, რომელიც გავრცელდა იმერეთში ჩყთ წელში, ქუთაისიდგან ეს სტამბა გარდატანილ იქმნა პირველად საჩხერეში, (შორაპნის მაზრაში), ხოლო შემდეგ სოფელს წესში (რაჭის მაზრაში). ამის გამო ზოგიერთი ქუთაისში დაწყებული წიგნების ბეჭდვა დასრულდა სოფ. წესში. ამ სტამბაში დაბეჭდილი წიგნები ამტკიცებენ, რომ იმ დროს სტამბის საქმე ძალიან კარგად ყოფილა დაწყებული. წიგნები არიან დაბეჭდილნი სუფთად და ასოებიც მშვენიერია.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართული საეკკლესიო ღვთის-მსახურების წიგნების ბეჭდვა დაიწყეს ხელახლად მოსკოვში. 1864 წლამდე ყველა ჩვენი საეკკლესიო წიგნები იბეჭდებოდენ მოსკოვის სინოდალნის სტამბაში. უნდა ვსთქვათ, რომ ეს სტამბა ძალიან ზომიერ ფასად გვიგზავნიდა ჩვენ საეკკლესიო ღვთის-მსახურების წიგნებს. განსვენებული ექსარხოსის ევსევის შუამავლობით ჩვენი საეკკლესიო წიგნების ბეჭდვა მიენდო «კავკასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებას». განსვენებულის ექსარხოსის ევსევის სახეში ჰქონდა, რომ ამით უფრო გაიაფდებოდა ხსენებული წიგნები და მასთან საზოგადოების საშუალებანიც იმატებდა. რომ საზოგადოებას გაადვილებოდა წიგნების ბეჭდვა, მოსკოვის სინოდანის კანტორამ დაუთმო საზოგადოებას ასოების ჩამოსასხმი ხელ-სამწყო და ასოს მოსაჭრელი ფოლადი 400 ცალი, თითოეული ათ შაურად, თითქმის ხუთჯერ ნაკლებად ღირებულ ფასზედ. და მართლაც საზოგადოება გაამართლებდა განსვენებული ექსარხოსის იმედს, რომ მას მოეპოებია თავის საკუთარი სტამბა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ მოახერხა საზოგადოებამ და ამიტომ იგი იძულებული შეიქმნა ღვთის-მსახურების წიგნების დაბეჭდვა შეეკვეთა კერძო სტამბებისათვის, და ამიტომ, გაიაფების მაგივრად, ეკკლესიებს უფრო ძვირად უჯდებოდათ ამ წიგნების მოპოება.

უკანასკნელ დროში დაიბეჭდა ორი წიგნი ჟამნი და კონდაკი, მაგრამ ორივე წიგნების ფასმა თითქმის ერთი ორად აიწია. ყველა ეს დაბეჭდილი წიგნები ეკკლესიებს გამოაწერინეს არა მიმხედველი მისა იყო საჭირო თუ არა ეს წიგნები მათთვის. ეს განკარგულება, რასაკვირველია, გამოიწვია იმან, რომ სინოდალნი კანტორას წიგნების დასაბეჭდი საშუალება არა ჰქონდა. ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ექსარხოსმა, მთავარ-ეპისკოპოსმა პალლადიმ და უმაღლესი მთავრობის განკარგულებით ჩვენი საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმე ისევე მოსკოვში იქმნა გადატანილი.

დღეს იწვევენ მოსკოვში ქართველს, რომელსაც უმაღლესი სწავლა ექმნება დამთავრებული. ამ პირს მიეცემა მღვდლის ადგილი მოსკოვში და თავის მოვალეობის აღსრულების გარდა, მან უნდა დაიჭიროს კორექტურა საეკკლესიო წიგნებისა. მოსკოვის სინოდის სტამბა სთხოვს «კავკასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებას», რომ დაუბრუნოს ის საბეჭდავი ნივთები, რომელიც მან დაუთმო ამ საზოგადოებას ორას მანეთად და ფული დაიბრუნოს უკანვე. რამდენათაც ვიცით, სინოდის სტამბას არა აქვს ასოები № 10 და 8. ამ ასოების შოვნა არ შეიძლება არც ერთ რუსეთის ასოების ჩამოსასხმელ ქარხანებში და ძრიელ საჭირო და სასარგებლო კია ამ ასოების მოპოება *).

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მოსკოვის, სინოდალნის სტამბა, რომელიც მშვენივრად არის მოწ-

---

*) კარგი ხანია, რაც ჩვენც დიდი ყურადღება მივაქციეთ ჩვენი საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმეს. საჭიროთ დავინახეთ, რომ როგორიმე გზით მოგვეპოვებინა მეათე ნომრის ასოების ჩამოსასხმელი მატრიცები, რომლითაც ქუთაისში იბეჭდებოდა ზოგიერთი წიგნები. ამისათვის ჩვენ ლეიპციხში შევუკვეთეთ ამ ასოების ჩამოსასხმელი მატრიცები, რომელსაც ამ დღეებში მივიღებთ. ჩვენ ნება ავიღეთ ამ ასოებით დავბეჭდოთ პატარა ხელის კონდაკი, სასწავლო შემოკლებული ჟამნი და მოსახსენებელი კონდაკი, რომელთა ბეჭდვას მალე შევუდგებით. ჩვენ ამ შეძენილი ასოების მატრიცებს ვათხოვებთ სინოდის სტამბას ოღონდ წიგნების ფასი ცოტა შემცირდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყობილი და მასთან ყველა საჭირო საშუალება მოენახება, შეიძლებს საეკკლესიო წიგნების ბეჭდვას უფრო რიგიანად და იაფად ჩვენი ღარიბი ეკკლესიებისათვის.

ძლიერ კარგი იყო, რომ ჩვენშივე ყოფილიყო მოწყობილი საქმე ისე, რომ საეკკლესიო წიგნების დაბეჭდვა აქვე წარმოებულიყო. ჩვენში ასოს ამწყობლებსაც უფრო იაფად იშოვიდა კაცი და კორრექტურის დამჭერსაც. მოსკოვში ქართული ასოს ამწყობის დაქირავება ძვირად დაჯდება. თუ რიგიანი ასოს ამწყობი იშოვა კაცმა მოსკოვში და კორრექტურის დამჭერი, მაშინ წიგნის გამოცემა უფრო იაფად დაჯდება, რადგან სინოდის სტამბა კარგად გამართულია, ქაღალდიც იქვეა და იაფად ისყიდება და წიგნების დაკაზმაც ბევრის წილად უფრო იაფად დაჯდება მოსკოვში, ვინემ ჩვენში. გამოგზავნაც წიგნებისა მუქთად შეიძლება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ საქართველოს ექსარხოსის, მთავარ-ეპისკოპოსის პალადის ერთი ფრიად სასარგებლო განკარგულება. დიდი ხანია შენიშნულია, რომ ბევრი შეცდომები არის საეკკლესიო წიგნებში, რომელნიც მომხდარან ბეჭდვის დროს. ამიტომ ექსარხოსმა დანიშნა კომიტეტი, რომელმაც უნდა შეასწოროს ეს შეცდომები საეკკლესიო წიგნებში. სასურველია, რომ მოსკოვის სინოდალნის სტამბამ არ დაბეჭდოს არც ერთი საეკკლესიო წიგნი, ვიდრემდის ეს წიგნი გასწორებული არ იქმნება ხსენებული კომიტეტისაგან.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

**შეცდომის გასწორება:** ამ ნომერში მეხუთე გვერდის ადგილას შეცდომით არის დაბეჭდილი მეშვიდე გვერდი და მერვე გვერდის ადგილას—მეექვსე.

## «მწყემსი»-ს კორრესპონდენცია

### პეტერბურგიდგან.

ხუთს აგვისტოს ალექსანდრე ნევის ლავრაში სწირა საქართველოს ექსარხოსმა, მთავარ-ეპისკოპოსმა პალლადიმ. ამ დღეს აკურთხეს ეპისკოპოსად პეტერბურგის სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი ნიკოლოზი. წესი ეპისკოპოსად ხელდასხმისა შეასრულეს მიტრაპოლიტმა ისიდორემ, საქართველოს ექსარხოსმა პალლადიმ, ეპისკოპოსებმა: გერმანმა, ანტონიმ, მიტროფანემ და ვლადიმირმა. სხვა სამღვდელო პირთა შორის იყო არქიმანდრიტი პაისი, თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად ნამყოფი.

ჩვენ არა ერთ გზის გამოგვითქვამს, რომ საქართველოს ექსარხოსის, მთავარ-ეპისკოპოსის პალლადის მღვდელმოქმედების შესრულების დროს მიხრა-მოხრას და ყოველ მის სიტყვას დიდი გავლენა აქვს მლოცველებზედ. მათი მეუფების ყოველი სიტყვა გამსჭვალულია სარწმუნოებრივი გრძნობით და წარმოითქმებიან თავისუფლად და სასიამოვნოდ. ზოგიერთები კი ღვთის-მსახურების დროს დიდს ყურადღებას აქცევენ მხოლოდ თავისი ხმის გამშვენებას და ამით რაღაცა არა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენენ მსმენელებზე...

რუსეთის მდაბიო ხალხი მაინც დიდ ყურადღებას აქცევს ჩვენს ექსარხოსს პალლადის. ექსარხოსი პალლადი მრავალს ქართველი ჰგონია, რადგან წირვა-ლოცვის დროს მოხსენებაში ესმისთ: «მთავარ-ეპისკოპოსი ქართლისა და კახეთისა, ექსარხოსი საქართველოისა»... ჩვენ მრავალს ადგილას მოვჰკარით ყური შემდეგ სიტყვებს რუსთა შორის:

ქართველებს თუ ამისთანა ეპისკოპოსი ჰყავდათ სწორედ არ მეგონა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

—რატომ არ გეგონა, უპასუხებს მეორე, ქართველებიც ქრისტიანები არიან, და ამბობენ, რომ მათ ჩვენზე უწინ აქვსთ მიღებული ქრისტიანობა.

—სწორედ გასაკვირველია, რომ მას ასე ლამაზად შეუსწავლია რუსული! ისე სწირავს, რომ მასს ზოგი ჩვენი ეპისკოპოსებიც ვერ შეედრებიან.

—მართალია, კარგად სწირავს, ეუბნება მეორე, მაგრამ ცოტა მაინც ეტყობა, რომ იგი ქართველია!...

—ძლიერ კარგი წესი აქვს მიღებული უწმ. სინოდს, ამბობს მესამე, რომ ქართველების მთავარეპისკოპოსსაც იბარებს სინოდი კრებებზე დასასწრებლად. რასაკვირველია, ადგილობით მთავარ-ეპისკოპოსს უფრო კარგად ეცოდინება თავისი თემის საჭიროება და პირადად შეატყობინებს ამ საჭიროებას სინოდს».

სწორედ საგულისხმო სიტყვები წარმოსთქვა ამ უბრალო კაცმა...

საზოგადოდ შესანიშნავი და სასიამოვნო ის არის, რომ ყველა ქართველს დიდის პატივის ცემით და სიყვარულით ეპყრობიან აქეთ. ძვირად შეხვდებით იმისთანა პირთ, რომელნიც ზიზღით უყურებდენ ქართველებს და ქართულს, როგორც ამას, ჩვენდა სამწუხაროდ, ხან-და-ხან ვხედავ ჩვენში. ღმერთმანი გასაკვირველია, რა დაუშავა ამ პირთ საქართველომ და ქართველებმა? ალბად ეს აიხსნება ამ ზოგიერთთა პირების ახირებული ხასიათით და ზნით...

წირვის გათავების დროს ახლად ხელდასხმულს ეპისკოპოსს ნიკოლოზს კვერთხი ჩააბარა მიტრაპოლიტმა ისიდორემ. კვერთხის ჩაბარების დროს მათმა მეუფებამ გრძნობით სავსე სიტყვა უთხრა ახალს ეპისკოპოსს.

8 აგვისტოს უწმიდეს სინოდში დიდის ამბით შეასრულეს წესი ეპისკოპოსად დანიშვნისა არქიმანდრიტის ანტონისა. წესი აღასრულეს მიტრაპოლიტმა ისიდორემ, მთავარ-ეპისკოპოსმა პალლადიმ, ეპისკოპოსებმა გერმანმა და მარკეელმა. წესის აღსრულებას დაესწრენ სინოდის ობერ-პროკურორი კ. პ. პობედონოსცევი, სინოდის კანცელარიის მმართველი ვ. კ. საბლერი და სხვანი. ეპისკოპოსად დანიშნულმა მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა საღმრთო წესის შესრულების შემდეგ.

დეკ. დ. დამბაშიძე.

---

«მწყემსი»-ს კორრესპონდენცია.

სოფელ ქვემში (ეკატერინენფელდის საბოქაულოშია) სცხოვრებს 80 კომლი ქართველი. ეს სოფელი შეადგენს ერთ სამრევლოს. სამწყსო ძალიან დაშორებულია ეკკლესიას, რაისა გამო ხალხი ძალიან ძვირად დაიარება ტაძარში. თუმცა მღვდელი ყოველსავის ჰყოლია ამ სამრევლოს, მაგრამ დიდის ხნობით აქ არც ერთი მღვდელი არ დგება, რადგან აქაურს ცუდს ჰავას ვერ იტანენ და ამიტომ სხვა ადგილას გადადიან. აქაური ხალხის სარწმუნოებაზე და ზნეობაზე ძალიან ცუდი გავლენა აქვს იმ გარემოებას, რომ ამ სოფლის გარეშემო მოსახლობენ თათრები. კვირა-უქმ დღეებში ისე მუშაობენ აქაურები, როგორც საქმე დღეებში. უკანონო ცოლების ყოლა აქ მეტად გახშირებულია. წერა-კითხვის მცოდნე პირს ძვირად ნახავთ ამ სოფელში; ამის მიზეზი, რასაკვირველია, ის არის, რომ ამ სოფელში დღემდის არ მოიპოვება არც საერო და არც სამრევლო სკოლა. სამრევლო ეკკლესია მეტად ღარიბია, უკანასკნელი მღვდლის შესამოსელიც კი არ არის რიგიანი.

დიდი ხანი არ არის, რაც ამ სოფლის მღვდლად დაინიშნა მ. მიხეილ ნასარიძე. ამ ახალგაზრდა მოძღვარმა მოსვლისათანავე და-იარა თავის სამრევლო და შეიტყო მისი ავი და კარგი. მან პირველად ყურადღება მიაქცია ეკ-კლესიის გამშვენებას და თავისი სიტყვა-დარი-გებით იზიდავს ხალხს ეკკლესიაში. ვისაც დღემდის არ გაუვლია ტაძარში და არ ზია-რებულა, იგი დღეს დიდის მოწიწებით დაია-რება ეკკლესიაში და ისმენს წირვა-ლოცვას. მ. მიხეილმა ბევრს მოასპოპია უკანონო ცოლების ყოლა, თუმცა ამის გამო ბევრნი ემდურიან ახალს მოძღვარს. ასეთი პირნი აი რას ეუბნე-ბიან მ. მიხეილს: «შენს მოსვლამდის განა მღვ-დლები არ გყვანდნენ, მაგრამ ისინი არც უკა-ნონო ცოლების ყოლას გვიშლიდენ და არც ეკკლესიაში უსიარულობისათვის გვიჯავრდებო-დენ». მ. მიხეილს განზრახვა აქვს სამრევლო სკოლა გახსნას; მან უკვე დაიქირავა სკოლისა-თვის ერთი პატარა ოთახი. თუ სამრევლომ და ადგილობითმა საერო მთავრობამ შემწეობა აღ-მოუჩინა მ. მიხეილ ნასარიძეს, იგი იმედია, ღი-რსეულად შეასრულებს თავის დიდ მოვალეო-ბას და სწავლის საქმესაც კარგად წაიყვანს, რა-დგან მას სწავლა აქვს შესრულებული სამო-სწავლო სემინარიაში და კარგა ხანი მსახურებდა მასწავლებლად.

ზ. გ—ლი.

† ნეკროლოგი.

### ყოვლად სამღვდელო იოსები ყოფილი ეპისკო-პოსი ვლადიკავკავისა.

25 ივლისს მოსკოვში გარდაიცვალა ვლა-დიკავკავის ეპარქიის ყოფილი ეპისკოპოსი ყოვ-ლად სამღვდელო იოსები. იგი სცხოვრებდა მოსკოვში სტავროპიგიალის ნოვოსპასკის მონას-ტერში. ყოვლად სამღვდელო იოსები, ერის-კაცობაში იოანნე ჩეპიგოვსკი, სემინარიაში სწა-ვლის დამთავრების შემდეგ, შევიდა კიევის სა-სულიერო აკადემიაში, სადაც სწავლა შეასრუ-ლა 1848 წელში კანდიდატის ხარისხით და მა-შინვე ეკურთხა მღვდლად. იგი დამქვრივდა და 1854 წელში აღკვეცილ იქმნა ბერ-მონაზვნად. 1858 წელში მიიღო არქიმანდრიტობა და 1869 წელში დაინიშნა საქართველო-იმერეთის სინო-დალნი კანტორის წევრად, 1875 წელში იგი დაი-ნიშნა ვლადიკავკავის ეპისკოპოსად.

განსვენებულს ჰქონდა ორდენები წმ. ან-ნისა მეორე და პირველი ხარისხისა, წმ. ვლა-დიმირისა მესამე და მეორე ხარისხისა და სხვა ნიშნები განსხვავებული სამსახურისათვის. თანა-ხმად უწმიდესი სინოდის უკაზისა 2 აგვისტო-დამ 1889 წლისა ყოვლად სამღვდელო იოსები სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნა მოსასვენებ-ლად ნოვოსპასკის მონასტერში და უმაღლესი ბრძანებით მათ მეუფებას 1200 მანეთი პენსია დაენიშნა წელიწადში.

შემდეგ ანდერძის აგებისა, რომელიც შეა-სრულა მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელო-ესობამ მოსკოვის მიტრაპოლიტმა იოანნიკემ, განსვენებულის ყოვლად სამღვდელო იოსების გვამი დაასაფლავეს ფერისცვალების მონასტრის საკრებულო ტაძრის საკურთხეველში.

ორს აგვისტოს აღწერეს განსვენებულის ეპისკოპოსის იოსების ქონება. ყველა აღწერილი ნივთები დაფასებულია 3500 მანეთად. ამ ნივ-თებში 2225 მანეთი ღირს პანაგია, რომელიც მორთულია ძვირფასი ქვებით. ნაღდ ფულად, განსვენებაზე საჭირო ხარჯების დაფარვის შემ-დეგ, დარჩა 340 მანეთი. ყოვლად სამღვდელო იოსები არის ავტორი ოსურ-ქართული ლექსი-კონისა და უკანასკნელ დრომდე მათი მეუფება მოღვაწეობდა; გარდაცვალების შემდეგ მის ნივთებში ნახეს მრავალი ნაწერები და ქადაგე-ბანი.

## ჭინჭრაქა.

ვგონებ, ყველამ იცის, თუ რა ფრინველია ჭინჭრაქა. ის ნიადაგ ღობე-ყორეებში დაძვრება; ხშირად მისი ხმა გვესმის და, თუ ძლიერ არ დაუკვირდი, ვერც კი შენიშნავთ ამ ფრინველს, ისე პატარაა. როგორც ამბობენ, ეს ჩიტი დიდი ელვა-ჭექის დროს გამოხტება ღობიდგან, დედა-მიწაზედ წამოიშლაკება და ფეხებს მაღლა აიშვერს, რომ, ვინიცობაა ცა ჩამოინგრეს, ანუ მეხი ჩამოვარდეს, ფეხებით შეაჩეროს და დედა-მიწა გადაარჩინოს დამსხვრევისაგან. სწორედ ამ ჭინჭრაქას მოგვაგონებს, ვიღაცა „ივერიაში" შებუდებული «დუშიკოა თუ მუშიკო. ამოიჩემებს იგი ერთს მისგან ძნელად გასაგებ რასმეს, «მწყემსის» მცირე შენიშვნებში, და ასტეხს ერთ ალიაქოთს.

თუ რამე ითქვა რომელიმე გიმნაზიაზედ, ან მის მასწავლებლებზე, ბ. „დუშიკო", როგორც მოყიდული ვექილი, მაშინვე თავს გამოჰყოფს და გაზეთ «ივერია»-ში რამოდენიმე ადგილს გაავსებს თავისი უთავბოლო და უსაფუძვლო ყბედობით. «დაგვისახელეთ, გაიძახის «დუშიკო», ვინ იყო ეს მასწავლებელი, რომ მას დირექტორთან უჩივლოთ, რომ იგი ადგილიდგან დაითხოვონ; რა ერქვა თავის კანონიერი ცოლის გამგდებ მასწავლებელს და გადაბირებულ ქალს? ისინი ხომ მონათლულნი იქმნებოდნენ და საკუთარი სახელებიც ერქმევოდათ?» შემდეგ დასძენს: «რა დიდი უბედურებაა, რომ ერთმა მასწავლებელმა მეორეს ცოლი გადაბირა და წაართვა, განა მსგავსი მოვლენა იშვიათია ჩვენში დღეს და სხვ...»

აი სწორედ ამას ჰქვიან: გაუსვი და გამოუსვი, მიჰბოდე და მოჰბოდე და «ივერიის» ნომერი გამოუშვი... ჩვენ ჯეროვან პასუხს მივსცემდით გაზეთ «ივერიის» რედაქციას, რომ თვითონ მასთან გვქონდეს საქმე, მაგრამ ვიღაცა «დუშიკოებს», «ახნაზაროებს» და «მიკირტუმ გასპარიჩებს», რომელთაც დროებითად თავი შეუფარებიათ «ივერიის» რედაქციაში და «ინჩხაბარე-მინჩხაბარეებით» ლამის მკითხველ საზოგადოებას თავი მოაბეზრონ, ჯეროვანს პასუხს არ გაუცემთ მათ უზრდელს და უსუსურს შენიშვნებზე.

## პასუხად ქართული ხმების მოყვარეს.

პატივცემულო ქართული ხმების მოყვარევ! ჩემსკენ მომართული და შენიშვნებით სავსე თქვენი წერილი წავიკითხე „მწყემსი"-ს მე-12 ნომერში; წავიკითხე და ყველაფერი ვცანი,—ვცანი, რომ თქვენი წერილი უსაფუძვლოა. ყური დამიგდეთ, ქართული ხმების მოყვარევ, გიამბობ ჭეშმარიტებას და სცანი ყველაფერი.

როდესაც მე ლოტბარად დამნიშნეს, მგალობლებისთვის იყო გადადებული სმეტით რვაას ორმოც-და-ათი მან. (850 მ.). ამ ფულიდგან რუსულად მგალობლებს ეძლეოდათ ლოტბარითურთ ექვსას ოც-და-ათი მან. და ქართულად მგალობლებს — ორას ოცი მან. რადგან რუსულად მგალობლებისთვის გადადებული ფული ძლიერ მეცოტავებოდა, მე, როგორც ლოტბარმა და მგალობლებისთვის მზრუნველმა, მოვმართე ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსს, რომ რუსულად მგალობელთა გუნდისათვის მოემატებინათ ჯამაგირი. სმეტა წარადგინეს, სადაც ჯერ იყო, და 1884 წელში მგალობლებს მოუმატეს ოთხასი მანეთი. გახდა სულ რუსულ და ქართულ მგალობელთათვის ათას ორას ორმოცდა ათი მან. (1250 მ.). ამ ფულიდგან მე, ლოტბარს, მეძლევა 300 მან., რუსულად მგალობლებს (მათში ათი დიდი მგალობელია და თოთხმეტი პატარა) შვიდას ოც-და-ათი მან. (730 მ.) და დანარჩენი ორას ოცი მანეთი სამ კაცს ქართულად მგალობლებს. დღესაც ეს ასე არის. მე ვალდებული ვარ მგალობლები ვაგალობო რუსულად და ისინი ვალდებულნი არიან იგალობონ ქართულად. აბა ახლა სინდისის ქვეშ სთქვი: ვის უნდა უკიჟინო, რატომ ქუთაისის საკათედრო სობოროში ქართული გალობა აღარ ისმისო.

რომ ამბობ, ქართული ხმების მოყვარევ, «ქართლ-კახეთის კილოს რომ გალობ ხანდისხან, ისე იმერული კილოს გალობაც იგალობეთ და რასაც იმისთვის გაძლევთ (არასფერს მაძლევთ, მე და ჩემმა ღმერთმა!) იმისთვისაც ის მიიღეთ». დაილოცოს შენი სამართალი! რუსულადაც მე ვაგალობო, ქართლ-კახურადაც და იმერულ კილოზედაც?!. სხვებმა რაღა? იქნება ჰფიქრობ, (რა ვიცი, არ არის თქვენგან გასაკვირი!) თქვენ მეტი ჯამაგირი გაქვსო. ზემოდ გიანგარიშეთ და, თუ გნებავთ, აიღეთ შრომის ფასი, რომელიც გადადებულია მგალობელთათვის, გაყავით პროპორციონალურად და მაშინ მიჰხვდებით,—ვის მეტი ჰხვდება, ისიც იქონიეთ სახე-

ში, რომ რუსულ მგალობელთათვის კვირაში სამჯერ რეპეტიცია საჭირო.

თქვენა ბრძანებთ, გალობის მოყვარევ: «აქ წინად ექვსი ქართული მგალობელი იყო, დღეს კი იმათგან მხოლოდ ორია, (მაშ ორ კაცს ეძლევა ორას ოცი მანეთი? განა შეიძლება ორმა კაცმა იგალობოს მღვდელმთავრის წირვის წესი?) იმათი ჯამაგირები თვითეულის ას-ასი მანეთი რუსულად გალობის ხოროს და მათ რეგენტს მოემატა». მიკვირს, ღმერთმანი, ზოგიერთი კაცის მსჯელობა! მე რომ ლოტბრად დამნიშნეს, როგორც ზემოდ ვსთქვი, ქართული გალობის მოყვარევ, ყველა მგალობელთათვის იყო სმეტით დანიშნული რვაას ორმოცდა ათი მანეთი (850 მ.); თუ ამ ფულიდგან ექვსასი მანეთი ქართულ მგალობლებს ეძლეოდა, მაშ რუსულად მგალობლების ხოროს, რომელშიაც საჭირო უკანასკნელი ოცი კაცი (თუ ხორო რიგიანია და საფუძვლიანი) და ლოტბარს ექნებოდათ ორას ორმოცდა ათი მან. ექვს კაცს ეძლეოდა ექვსასი მან. და ოცდაერთ კაცს კი, ლოტბარითურთ, ორას ორმოცდა ათი მან., შენს აზრს უზიარებ «მწყემსი»ს მკითხველებს და განა ასე უსამართლოს და უსაფუძვლოს! თქვენი ნებაა, ქართული ხმების მოყვარევ, რაც გნებავთ ის ილაპარაკეთ, მაგრამ მე კი ამას მოგახსენებთ: არ არის რიგი და პატიოსნება, გამოხვიდეთ სალიტერატურო ასპარეზზედ და ვინმე უსამართლოდ გაჰკიცხოთ საზოგადოების წინაშე. სხვაც არა იყოს რა, ჩემ წინად სხვებიც იყვნენ ლოტბარებად: უტარნოვი, მაჭავარიანი, ალნიაშვილი და სხვ... ესენი კარგახნობით ლოტბარობდნენ. ნუ თუ გახსოვთ, ან გაგიგონიათ ვისგანმე, რომ მათგანს ერთხელ მაინც ეგალობნოთ ხოროთი ქართულად? თუ მოვალენი ყოფილიყვნენ, განა შეარჩენდნენ მით ასეთ დაუდევნელობას; ამით მე ის გამოვხატე, რომ როგორც ისინი არ იყვნენ, ისე მე არა ვარ მოვალე ქართულად ვაგალობო; თუ როდისმე მიგალობებია, ან ვაგალობე, ან შემდეგში ვაგალობებ ქართულად, ეს სრული ჩემი ნება გახლავთ. აკრძალვით შეუძლიანთ ამიკრძალონ ქართული გალობა და ძალდატანებით კი,—უთუოდ აგალობეო,—არავის შეუძლიან.

მართალია, ერთ დროს რუსულადაც ვაგალობებდი ხოროს და ხან-დის-ხან ქართულადაც; დრო იყო, რომ მე თეატრშიაც ნაციონალურ კონცერტებსაც ვმართავდი. ვამბობ: დრო იყო მეთქი და, ხომ მოგეხსენებათ, ქართული ხმების მოყვარევ, «დრონი მეფობენ»-ო. მაშინ ისეთი გარემოება იყო, ისეთი დრო შემხვდა, რომ შემეძლო გამეკეთებინა რამე. მაშინ ქართული გალობის გამართვაში მეხმარებოდნენ: რ. ხუნდაძე და მ. ქელბაქიანი; სხვათრივ ხელს მიმართავდა ი. ფსაკაძე, რომელიც იყო სასულიერო სასწავლებლის უფროსად. მე კიდევ ღონე შემწევდა და ვშრომობდი. დრო შეიცვალა, გარემოებამ ხელი შემიშალა და მეც უღონო შევიქენი. სახელდობ რა იყო მიზეზი, იმის თქმა არ შეიძლება, რადგან, «ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების».

ამაში დამეთანხმებით, ქართული ხმების მოყვარევ, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში, სრულებით აღარ მიგალობებია ხორო ქართულად არც ერთს და არც მეორის კილოზედ. თეატრშიაც კი აღარ მითქმევინებია ხალხური ხმები, გსთქვათ, როგორც თქვენა ბრძანებთ, იმერულ საეკლესიო საგალობლებს «წახლი ვკარი», რა დამიშავა ქართლ-კახეთის კილომ? რა დამიშავეს ხალხურმა სიმღერებმა, რომ ამათაც გზა ავარიდე? გარწმუნებთ, რომ ამის მიზეზი იყო გარემოება და არა ისა, რასაც თქვენ ჰგულისხმობთ.

თქვენა ბრძანებთ: „იმერული გალობის მოსმენა ქუთაისში, ნამეტურ ამ ჟამად, ყველას ენატრება»... ყველას ენატრება... აფსუს გეგლუცო სიტყვებო! ქუთაისში ყველას ენატრება და ჭერათვერი კი ვერ მოუსერხებიათ. მერე ვისა? იმერლობას.., მერე სხვაც არა იყოსრა, სად არიან თქვენისთანა ქართული ხმების მოყვარენი? მარტო თქვენ ხომ არ ბრძანებულხართ,—თუ თქვენ «მოყვარე» ბრძანებულხართ, სხვები ყველანი «მონატრენი» ყოფილან და ნუ თუ «მოყვარე» და იმდენ „მონატრე“—ში სამი კაცი არ მოიძებნება, რომ თავიანთ გალობით დაატკბონ მლოცველების ყურთასმენა? ტყუილად კი არ იტყვიან ქართველები: „ენას ძვალი არა აქვს»—ო... დარწმუნებული იყავი, ქართული ხმების მოყვარევ, რომ მე რაც შემიძლიან, ვაკეთებ და კიდევაც გავაკეთებ, ვიდრე ძალა და ღონე შემწევს, მაგრამ, ამას კი ვიტყვი, მარტოკაობაც ძნელია «Одинъ въ полѣ не воинъ».—

გადავალ სხვა საგანზედ და ახლა იმაზედ მოგელაპარაკებით.—აი რაზედ: თქვენა ბრძანებთ: «ქართლ-კახეთის კილოს ხშირად გალობთ... აღდგომის მეორე დღეს რომ წირვის წესი იგალობეთ, საზოგადოებას ძალიან მოეწონა და ესიამოვნა... ამ დღეს ჩვენ შევნიშნეთ სხვა და სხვაობა»... მომისმინეთ: მგალობელთა ხორო, რომელიც მე მაბარია, ყოველთვის ოთხ ხმაზედ გალობს. წარსულ შემოდგომაზედ 1889 წ. გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეიზრახე, რომ ქართლ-კახეთის წირვის საგალობლები ოთხმაზედ გადამეკეთებინა და მგალობლებისთვის ისე მეგალობებინა. ესე იგი კილო საგალობლებისა არ შემეცვალნა, არ დამერღვია და არ დამემახინჯებინა და ისევ იმ კილოზედ ოთხ ხმაზედ გამეკეთებინა მთელი წირვის წესი. ასეც მოვიქეცი (მოვიქეცი იმიტომ, რომ ქართლ-კახეთის კილო მესმის და შესწავლილიცა მაქვს) კრიმი (პირველი ხმა) და მოძახილი (მეორე ხმა) არ დავშალე, თითქმის ყველა საგალობელში ხელ უხლებლად დავსტოვე. მხოლოდ ბანი შევსცვალე და ერთი ხმაც მოვუმატე (ქართულ საგალობლებში ხომ სამი ხმა არის) ასე ქართლ-კახეთის კილოზედ ოთხ ხმაზედ ჩემ მიერ გაკეთებული მთელი წირვის წესი ორჯერ ვაგალობე ხოროს შემოდგომაზედ, ორჯერ თუ სამჯერ ზამთარში (ვაგალობე და, სიმართლე გითხრათ, მღვდლებმაც და ერმაც მოიწონეს; წუნი არვისგან გამიგია; თორემ თავს მივანებებდი) აღდგომის მეორე დღეს კი წირვა ვაგალობე ისევ ქართლ-კახეთის კილოზედ, მხოლოდ ორიოდე საგალობელი „ანგელოსი ღაღადებს» «განათლდი განათლდი»-თურთ და „მამაო ჩვენო“ სამ ხმაზედ გაკეთებული პატარებს—დისკანტებს და ალტებს და მესამეც—«ქრისტე აღსდგა» კი მთელ ხოროს. ეს საგალობლები გადაკეთებული და დამახინჯებული არ გახლავთ, როგორც გგონიათ, ქართული ხმების მოყვარევ; ეს არის ჩემგან, ასე ვსთქვათ, ფანტაზიურ ევროპიულ კილოზედ (და არა რუსულზედ) სამ ხმაზედ აშენებული საგალობლები. დამახინჯება კი იმასა ჰქვიან, როდესაც რამე ქმნილებას ისე გადააკეთებს ავტორი ანუ ხელოსანი, რომ დედანს ძლიერ ცოტათი ღა წაგავს. რაც არ გესმის, ქართული ხმების მოყვარევ, იმაზედ ლაპარაკი არ გმართებთ. ხუთჯერ წირვა ვაგალობე ქართლ-კახეთის კილოზედ და არც ერთხელ არ გამომირევნია ევროპიული კილო და მეექვსეზედ სამი საგალობელი ვაგალობე ევროპიულ კილოზედ და ახე თქვენ სულმოკლებას! რა სარკაზმული ეპიტეტები არ მომაყარეთ!... «მე მამა ცხონებულის შვილო!... ჰოი საკვირველებავ და კომპოზიტორებრივო მოღვაწეობავ»!...

რა არის აქ გასაკვირი, თუ ღმერთი გრწამსთ, სთქვით? პატარა მგალობლებმა ორიოდე საგალობელი სამ ხმაზედ,—ვსთქვათ ევროპიულ კილოზედ გაკეთებული, სთქვეს ტკბილად, წყნარად და მწყობიარედ. დიდი რამე დანაშაულობაა?!... ან არა და იქნება ის გიკვირს, რომ ქართლ-კახეთის კილო ოთხ ხმაზედ დავაყენე და ხოროს ისე ვაგალობე? მართალია ქართული ანდაზაა «უმეცარსა მცირედიც გაუკვირდება“—ო, მაგრამ ნუ გიკვირს, ნუ, ქართული ხმების მოყვარევ. აი რას გეტყვი: განა კაცი მეცნიერი და ლიტერატორი რომ არ იყოს, არაფრის აღწერა და თხზვა არ შეუძლიან? განა კომპოზიტორი რომ არ იყოს კაცი, არაფრის გაკეთება არ შეუძლიან სამუსიკო ასპარეზზედ! მხოლოდ ერთში კი დაგეთანხმები; ეს კი მართალია, ქართული ხმების მოყვარევ, რომ «ქრისტე აღსდგა», ჩემ მიერ შეთხზული, მეტია, რადგან სრულებით სხვა კილოზედ და «გემოზედ» არის გაკეთებული (და არა გადაკეთებული), მხოლოდ ეს «ქრისტე აღსდგა» შეიძლება ჩაითვალოს უადგილოდ, ეს არის და ეს!

თქვენ წერილში კიდევ ერთმა ადგილმა მიიქცია ჩემი ყურადღება და, მართალი მოგახსენო, ეს ადგილი არ დამრჩა სასიამოვნოდ. აი რა... «იმისი (ქართული გალობის) გაკეთება ხომ არ გეწყინათ, რაც უთქვენოდ გაკეთდა? თუ თქვენ ფიქრობდით ამ გალობათა ნოტებზედ დაწერას, ეს სამღვდელოებას ფიქრადაც არ მოსვლია. იმიტომ რომ ეს საქმე უთუოდ უფრო კარგს გამოცდილს და ყველასაგან ცნობილს ვისმე უნდა ეკისრა და კიდევაც მიანდეს»...

არა, არ გრცხვენიათ, რომ ამას ამბობთ? რად მეწყინებოდა, თუ ღმერთი გრწამსთ, მითხარით. თუ კი გაკეთება მინდა რისამე და ღონეც შემწევს, განა ჩვენში ცოტა რამ არის გასაკეთებელი? ერთმა რომ ერთი გააკეთოს, მეორეს მეორის და მესამის გაკეთება არ შეუძლიან? ან არა და, რა ისეთი თავმოყვარე, ანგარების მოყვარე და შურიანი მე მნახეთ, რომ ამისთანა ცილსა მწამებთ? მე ვარ მასწავლებელი, ამასთანავე ლოტბარიც. თუნდ რომ სამღვდელოებას მოესურვა, განა შემეძლო ის მძიმე ტვირთი, რომელიც სხვას მიანდო, მე მეკისრნა? გარდა ამისა არავითარი საბუთი არა გაქვთ, რომ თქვენ მიერ «ცნობილს» ჩემზედ უკეთესად შეეძლოს ნოტების გარჩევა და ხმების ნოტებზედ გადაღება. ეჰ, ქართული ხმების მოყვარევ, სჩანს ქართული ხმები კი გყვარებიათ და სამართლიან ლაპარაკთან კი მწყრალად ჰყოფილხართ.

ანდრია სიმონის ძე ბენაშვილი.

## საისტორიო მასალა.

# იმერეთის მეფის სოლომონის უკანასკნელნი დღენი.

(დასასრული *).

მეფემ დაუფარავად უთხრა, რომ მისმა ულმერთო საქციელმა და უკეთილშობილოდ მოპყრობამ ის მოთმინებიდგან გამოიყვანა, და ბოლოს შვიდი წლის ტანჯვის შემდეგ მის საბრძანებელში დარჩენას ვერასფერ ღონისძიებით ველარ ჰპოებს. ამისათვის ის იძულებულია ტრაპიზონს გაემგზავროს და იქიდგან ყოველივე თავის შემთხვევები სტამბოლში თავის მფარველს, მის დიდებულებას სულთანს აცნობოს. მეფის ამგვარი სიტყვებიდგან ფაშა სრულებითაც არ შერყეულა, ამისათვის რომ ის დაიმედოვნებული იყო, რადგანაც არზრუმი აზიის შუა გულშია და სტამბოლიდგან ასე შორს არის, რომ მეფე თავის განზრახვას ვერ აასრულებსო; ამისათვისაც მას უპასუხა: თქვენ საცხოვრებლად სულთანის მოწყალებით დანიშნულია აზრუმი და ახალ განკარგულებამდის თქვენ მთავრობის უცნობლად არსად წასვლის ნება არა გაქვთ. თუ ამის წინააღმდეგ მოიქცევით, მაშინ თქვენ თქვენს თავს გაიუბედურებთ, მით რომ როგორც საზოგადო წყობილების ამშფოთებელს, საქართველოში მხედართ-მთავართან გაგაგზავნით; ამასთანავე ჰპირდებოდა, რომ იმათ მდგომარეობას გამოსცვლის. კაცთმოყვარეობის რიგისა და სახელის პატივის-ცემისათვის მეგობრულად მოეპყრობა. რასაკვირველია, მეფეს ამ ფანატიკის დამუქრების შემდეგ თავის მიზანი უნდა გამოეცვალა, ამისთვის რომ ფაშას იმის ძალიან მოკლე დროში ასრულება შეეძლო და თავისი გამგზავრება სხვა რომელიმე შემთხვევამდის გადასდო; იმ ფანატიკის და ფარისევლის ფაშის დასამშვიდებლად იმან დაარწმუნა, რომ თუ ძმურად მოექცევიან, იმ შემთხვევაში წასვლას არსად იფიქრებს.

მეფისთვის სანატრელი დრო ბოლოს ძლივს დადგა. 1812 წ. მაისში ოსმალებს რამაზანის დროს, როდესაც ოსმალებმა მთელი ღამის ურიგო მხიარულების შემდეგ დაიძინეს (ყველამ იცის რომ მის შემდეგ ოსმალებს დილიდგან შუადღემდის სძინავთ) შეჰკრიბა თავის მხლებლები, ცხენები შეაკაზმინა და საჩქაროდ წავიდნენ. როდესაც ისინი ბაიბურთის მაზრის სამზღვრებს მიახლოვდნენ და უკან მოიხედეს, დაინახეს, რომ მათ იანიჩრების ჯარი მოსდევდა, მაგრამ ღვთის მოწყალებით ამ შესახედავად მარჯვე და საქმეში კი მხდალი, მაკვეხარი ჯარისა სრულებითაც არ შეეშინდათ. მეფემ დააპირა იმათთან, რაც უნდა მოხდეს, სასიკვდილოდ ან სასიცოცხლოდ შებმა, მაგრამ ღვთის განგებამ ეს საქმე მათ ააცილა. ამისათვის რომ ერთი წარჩინებული კაცი, რომელიც კონსტანტინეპოლიდგან მოდიოდა, ამ დროს საიდგანლაც გაჩნდა და იმათ გზაზედ შეჰხვდა, როდესაც ის ჩვეულებრივ ოსმალურად მეფეს მიესალმა და წავიდა, გზაზე შეჰხვდა მდევარი ფანატიკების ჯარი, მიახლოვდა და გაველით ჰკითხა: «რა არის თქვენი ასე საჩქაროდ სიარულის მიზეზი და ან რას მიეწერებაო». როდესაც შეიტყო, რომ ისინი ვალიფაშიდგან მეფის დასაჭერად იყვნენ გამოგზავნილნი და, თუ წინააღმდეგობა გაეწიათ, იმათ გასაწყვეტად წამოსულნი არიან, ოსმალური ჩვეულებრივი ღაცინვით მიუბრუნდა მათ და უთხრა: «უგუნურებმა [illegible] და ჭკვიანებმა მოიმკესო». და ამასთანავე ჯარის უფროსს უთხრა: «ჰო, ძმაო, სჩანს შენ ფაშის ერთგული მოსამსახურე ხარ და არა ხელმწიფისა. ან ასეთი გაურჩეველი გამბედაობისათვის შენი ფაშისაგან რა საჩუქარს მოელი? ვსთქვათ, რომ კიდეც დაიჭირო მეფე? და ამისათვის კი შენ დაიტანჯები; რადგანაც შენ მეფის სახელს გააუპატიურებ; და თუ შენ მას ბრძოლაში შეებმი, ისინი ისე

*) იხ. «მწყემსი»-ს № 13

დაიარაღებულნი არიან, რომ იმ სამას კაცს სამი — ათასის წინააღმდეგობა შეუძლიათ. მაშასადამე თქვენ ამ შრომისაგან არაფერი სარგებლობა არ გექნებათ მის მეტი, რომ თქვენი თავები საზამთროებივით გა-გორდებიან. ფაშა თქვენი სამუდამო მფლობელი არაა და ხელმწიფის რისხვისგან იმას არც თავისა და არც თქვენი დაფარვა არ შეუძლია. იმან ახლა, რა კი თქვენ ქალაქიდგან გამოხვედით, თავის თავზე უნდა იზრუნოს. მე თქვენ გირჩევთ, უმჯობესია უკან დაბრუნდეთ და უბედურებას ასცდეთო». ამი-სთანა გონივრული რჩევით იმან ჯარი ქალაქში და-აბრუნა. იმათი ცარიელად დაბრუნების დანახვით ფა-შას შიშის ზარი დაეცა, არ იცოდა, რა ექნა და რა ღონე მოეპოვა. იმას მხოლოდ შეეძლო მეფის სულთანთან დასმენა, ვითომ რამე ნაირათ ის ოსმა-ლეთის საქართველოს სულთნის საბრძანებლიდგან მოწყვეტას და იქ მფლობელად გახდომას აპირებდე-სო. მეფე კი მეორე დღეს ქალაქ ბაიბურთს მიეიდა. ამ ქალაქის უფროსმა ისინი ძლიერ კარგად მიიღო. და ორს დღეს დიდის პატივის-ცემით შეინახა; მესა-მე დღეს ისინი გუმიშხანაში წავიდნენ. მართლ-მადი-დებლებისაგან არქიეპისკოპოსის და სამღვდელოების მიღებამ და გუბერნატორის კეთილ-შობილურმა უფ-როსმა მეფე საკმაოდ ანუგეშა. აქ იმათ მიეგებნენ ბერძნები და ბერძნის არქიეპისკოპოსი. ფაშამაც დიდი პატივი სცა და მეფემ სრულებით ინუგეშა. სამს დღეს შემდეგ ისინი წავიდნენ და ტრაპიზონს მივიდნენ.

სანამ მეფე ტრაპიზონს მივიდოდა, წინ-და-წინ მოციქული გაუგზავნა ტრაპიზონის ფაშას ოსმან-ხაზინადარ-ოღლის. ეს წარჩინებული და კეთილ-შობილი კაცი თვითონაც შთამომავლობდა საქარ-თველოს თავადების სისხლისაგან, გრძნობდა უფრო-სად თავის თავს სამშობლო მიწის ხლებულ სტუ-მართან და არ იცოდა, რა ზომა მიეღო იმერეთის მეფის ღირსეულად მიგებებისათვის. მან დაპატიჟა ევროპის კონსულები, თან წაიტანა ქალაქის მცხო-ვრებლები და არქიელი, ქალაქის გარედ გავიდა და მიიღო მეფე ღირსეულად. მეფის შეგებება ძალიან დიდებულად და ღირსეულად მოხდა. დიდის ხნის უბედურების შემდეგ ამისთანა მასპინძლობამ მეფე ძალიან ანუგეშა. რუსეთის გარდა ევროპის კონსუ-ლებმა და ყველაზე უფრო საფრანგეთის ელჩმა აღ-მოუჩინა, რამდენიც შესაძლებელი იყო, იმდენი პა-ტივის-ცემა თავის კეთილგონივრული საუბრით, რომელიც ყოველ დღე ჰქონდათ, და რომლითაც მეფის მწუხარებას ფანტავდენ. თითოეულმა მათგანმა გაჰგზავნა კონსტანტინეპოლს მოციქული თავიანთ უმთავრესს ელჩებთან, მისის უდიდებულესობის სუ-ლთნის წინ წარსადგენელად. ამ გვარადვე ოსმან ფაშამ ხაზინადარ-ოღლიმ მოახსენა თავის ხელმწი-ფეს მის სამშობლოში გაუბედურებული იმერეთის მეფის მოსვლა, რომელსაც ჰსურდა მოსვენება ქ. ტრაპიზონში დიდის ხნის დაღალულობიდგან და და-ქანცულობიდგან, აზრუმის უწყალო ემინ ფაშის შევიწროებით და სთხოვდა შესახებ მისა დასჯას. მეფემ ამავე ქაღალდებთან გაუგზავნა კონსტანტინე-პოლის სულთანს მახმუდს თავის ელჩი თავადი ივანე სოლომონის ძის ლეონიძის ხელით ბარათი, რომელ-შიდაც მის უდიდებულესობას აუწყებდა ის ღრმა აღმოოხვრით ყველა თავის მწუხარებას და უბედუ-რებას, რომელიც იმან მოითმინა უწყალო მტარვა-ლი აზრუმის ფაშისაგან და მასთანავე იხდიდა ბოდიშს იმ ადგილიდგან გამოსვლისათვის, რომელიც მის მაღალ დიდებულებამ სულთანმა მეფეს დაუნიშნა საცხოვრებლად, მაგრამ რა ექნა, ემინ ფაშის მტარ-ვალობამ აიძულა იგი. ძლიერ დაწვლილებით გა-ნამარტავა იმ ბარათში ყველა თავის შევიწროება და უბედურება, რომელიც შეემთხვა მას ემინ ფაშისა-გან. დიდი ხნის მოთმინების შემდეგ იძულებულ ვი-ყავით ჩემის ნებით გადმოვსულიყავ ტრაპიზო-ნშიო.

როგორც ამტკიცებდა თავადი ლიონიძე, ამ ბარათის მიღებისთანავე მისი დიდებულება სულთანი დიდის სიბრალულით რაღაც აღშფოთებულს მდგო-მარეობაში მოვიდა და ორი საათი მეტი რაღაც და-

ფიქრებული იყო. მერე უცებ დაფიქრებულ მდგომარეობიდგან გამოსულმა დაილრიალა, როგორც ლომმა და თათრულად წარმოსთქვა: «ამან, ჯალათ!» ჯალათი წარსდგა სულთნის წინაშე. დასწერა თავისი ხელით პატარა ბარათი და, დაჰკრა რა ბეჭედი, მისცა მას ბრძანება: რომ ის წასულიყო აზრუმში და ყოვლის გამოუკითხავად ემინ ფაშისთვის მოეჭრა თავი; მამული ჩამოერთვა სახელმწიფოდ და მისი ცოლები და შვილები მოსამსახურეებად დაერიგებინა და მისი თავი ორი დლის განმავლობის შემდეგ იმერეთის მეფის საჩვენებლად მოეტანათ ტრაპისონიდგან კონსტანტინეპოლში.

ამავე განკარგულებით გაგზავნა მეფესთან ერთი სამხედრო მოსამსახურე თავის მხრით ბოდიშის მოსახდელი ბარათით იმ უწესოებისათვის, რომელიც მეფეს შეემთხვა სულთანის შეუტყობლად და ამასთან ანუგეშებდა მას, რომ სულგრძელი იყოს მწუხარებაში, რომელიც მას შეემთხვა.

ჯალათი სულთანის განჩინებით აზრუმის ფაშასთან მიკიდა აზრუმში, გამოცხადდა უეცრად ფაშის სახლის წინ, როგორც მრისხანე სიკვდილი და არც შევიდა მისს სადგომში. ბრძანებით დაუძახა მან გარეთგან. მის უწყალო ყვირილზე თითქმის მთელი ქალაქი შეიყარა. საცოდავი ფაშა ოთხი საათი მეტი იმალებოდა თავის სადგომებში.

უკანასკნელად, როდესაც კარგა ძალმა ხალხმა მოიყარა თავი, ჯალათმა ამოიღო სულთნისაგან მიცემული ბრძანება, წაუკითხა ხალხს და მოითხოვა მათგან ფაშის გამოყვანა სასიკვდინეთ. შემდეგ სულთნის ბრძანების მოსმენისა თვით ფაშის ხელქვეითმა სახელმწიფო მოხელეებმა გამოიყვანეს ფაშა და მისცეს ჯალათს ხელში, რომელმაც ის დააჩოქა და მარცხენა გვერდში დანა ჩაასო და თავი მოსჭრა; მამული სახელმწიფოდ ჩამოართვეს, ცოლები და შვილები სხვა და სხვა სახელმწიფო მოსამსახურეებს დაურიგეს მონებათ. ამ საქმის შესრულებისათანავე, დაბრუნდა რა ჯალათი აზრუმიდგან კონსტანტინეპოლისაკენ, ბრძანებისამებრ სულთანისა გზათ შეიარა ტრაპიზონში და მიიტანა მან თავი ემინა ფაშისა მეფე სოლომონის სასახლის წინ. როცა მისს დიდებულებას აუწყეს, ამ ამბავმა ისე გასასტერებლად იმოქმედა იმაზე, რომ კინალამ გული წაუვიდა. ბრძანა, რომ ჯალათი წასულიყო და თავი წაეღო. ტრაპიზონიდგან ჯალათი მივიდა კონსტანტინეპოლს და ფაშის თავი სულთანს მიართვა. შემდეგ ის გამოჰკიდეს კონსტანტინეპოლში ხალხის საჩვენებლად. სხვათა შორის ელჩი თავადი ლიონიძე სულთანმა დააკავა კონსტანტინეპოლში და იმის ხელით მერე გაუგზავნა მეფეს სხვა და სხვა ძვირფასი საჩუქრები. ეს რომ დაინახეს ოსმალოს წარჩინებულმა კაცებმა და უფრო ქართველმა ფაშებმა, რომელნიც თათრის სამსახურში იყვნენ, ქართველ მეფის შესაწირავად თავის მხრითაც დასძინეს ბევრი საჩუქარი.

თავადი ლიონიძე დატვირთულის გემით მობრუნდა თავის მეფესთან ქალაქს ტრაპიზონს, გავიდა რა ცოტა ხანი შემდეგ იმის მობრუნებისა, კონსტანტინპოლიდგან მეფემ მიიღო ბარათი სულთან მახმუდისაგან, რომლითაც ის ულოცავდა იმას სამეფო ტახტს და უცხადებდა, რომ რუსეთის მეფე გარდაეკიდა იმისთანა მოწინაალმდეგეს ნაპოლეონ ბონაპარტეს, რომლისაგან საეჭვოა, რომ მან თავი იხსნასო და არ ჩავარდეს მის მონებაში და ასრე სულთანი მეფეს ურჩევდა წასვლას შავი ზღვის პირზე ფოთის ციხეში, რადგანაც იქ დანიშნულია ჯარების შეკრება ერთად აზრუმის ტრაპიზონის და ფოთის ფაშებისაო, რომელნიც მოვალენი არიან შევიდნენ იმერეთში, გამოდევნონ რუსის ჯარები და დასვან იგი იმერეთის სამეფო ტახტზეო. ნაცვლად მხიარულებისა მშვიდობის მოყვარული მეფის სულისათვის სამწუხარო იყო ამგვარი მოკითხვა და მოლოცვა და სთქვა მან: რისთვის ჩავესახე მუცელში ჩემს დედას, თუ კი რომ ჩემთვის უნდა მოხდეს ამგვარი უბედურებანი და შემთხვევანი საქრისტიანო ქვეყანაზეო. მან მისწერა ხელმწიფეს მადლობა მისის მაზედ მზრუნველობასათვის, მაგრამ მასთანვე სთხოვა მას ამ საქმის (ან წინადადების) გარდადება სამი თთვის ვადით და მიზე-

ზად წარუდგინა თავის ავადმყოფობა, რომლის გამოც მას არ შეეძლო გამოცხადება ფოთის ციხეში მეტადრე მისთვის უფრო, რომ იქ არის ცუდი ჰავაო. ამის შემდეგ შეჰკრიბა თავის ხლებული და მათთან ერთად შეადგინა რჩევა, იქნება როგორმე ნახონ ისეთი შემთხვევა, რომ არავინ შეიტყოს, ისე გავიდენ ტრაპიზონის ქალაქიდგან ყირიმში და იქიდგან წავიდნენ პეტერბურღში ხელმწიფე იმპერატორთან ალექსანდრე პავლოვიჩთან გამოსათქმელად მის წინაშე ყოველი თავის გაჭირვების და მწუხარებისა, რომელიც შეემთხვა იმას უცნაური მიზეზისაგან. მაგრამ საუბედუროდ სულთანის წინადადების ვადამ მოაწია და მათ ვერ ჰპოვეს საშუალება თავიანთი რჩევის ასასრულებლად. ამის გამო ისინი ვალდებულნი იყვნენ წასულიყვნენ ფოთის ციხეში, როდესაც იქ მოვიდა მეფე თავის ხლებულით, უცებ მოხდა საზოგადო მხიარულება და დღესასწაულობა. ამასთან გამოცხადდნენ სამეგრელოდგან და იმერეთიდგან თავადები და მოიკითხეს შესაფერისად, ამასობაში ფოთის ფაშასთან მოვიდნენ ტრაპიზონის და აზრუმის ფაშები ჯარებით. მეფე მაინც არ სტოვებდა თავის განზრახვას, როგორმე რუსეთს წასულიყო. ამ დროს იმერეთის თავად-აზნაურობიდგანაც მოუვიდა მას წიგნი, რომ ტყუილად ნუღა იფიქრებს ის იმერეთის სამეფოში დაბრუნებას ოსმალოს ჯარითო.

აქამდის არის ნაწერი სიტყვიდგან ქართველის მამის გაბრიელისა, მცოდნისა დაწვრილებით მოხუცებულის ილარიონის ცხოვრებისა, რომელმაც პირის-პირ გადასცა მას, გაბრიელს, ყოველივე, მაგრამ მას არ შეხვდა დაბოლოვება ამა ამბისა, რადგანაც ის დიდი ხნიდგან იტანჯებოდა გულის ტკივილით და ავადმყოფი უამბობდა ხან-და-ხან ცოტ-ცოტად ზემო დაწერილს; შემდეგში ჩაწვა ლოგინში და გარდაიცვალა ოქტომბრის თვეში ჩყჲე წელსა.

## საქართველოს ძველი დროის ნაშთები წმიდა ქვეყნებში და სინას მთაზე.

(გაგრძელება *).

წმინდა ადგილების მომლოცავებში შესანიშნავია აგრეთვე, ქართველი სახელად ნიკიფორე, ერის კაცობაში ნიკოლოზი († 1658 წ.), ძე თავადის ომანა ჩოლოყაშვილისა და მისი მეუღლის ვარვარა არაგვის ერისთვის ქალისა. თვითონ თავადი ომანი გამოხატულია ჯვარის მონასტრის კედელზე და ქვემოთ აქვს წარწერა ქართულს ენაზე. ნიკიფორე, ტიმოთეს სიტყვით, ყოფილა კაცი შესანიშნავი, იგი ყოფილა წინამძღვრად ქ. მცხეთაში, ზოგნი ამბობენ, რომ იგი იყო მეტეხის სობოროს წინამძღვრადო თბილისში, მოძღვართ მოძღვრად კახეთში, არქიმანდრიტად სოფელს გოცხერულში სამეგრელოში; ტიმოთეს სიტყვით, ნიკიფორე გამოხატული ყოფილა ჯვარის მონასტრის კედელზე, მაგრამ მე ეს გამოხატულება ვერ ვნახე. ანტონი სწერს: ნიკოლოზი (ნიკიფორე) ჩოლოყაშვილი ღირსია ქებისა, იგი მშვენიერად ლაპარაკობს რამდენიმე ენაზე, მოგზაურობდა აზიაში, ევროპაში და აფრიკაში, რომ ამ მოგზაურობით შეიძინა სწავლა, იყო კაცი სიბრძნის მოყვარე, მცოდნე გრამმატიკისა, იგი იყო ფილოსოფოსი და ამიტომ იგი პირველ კაცად ითვლებოდა მთელს იერუსალიმში და თავის სწავლით ანათლებდა კახელებს, მეგრელებს და ქართლელებს.“ ნიკიფორეს დიაკონი გრიგოლი (გაბრიელი), რომელიც წაუყვანია საქართველოდამ იერუსალიმში, თავის ნაწერებში 1649 წლიდგან აგრეთვე ამბობს, რომ ნიკიფორე იყო ფილოსოფოსი, რიტორი, მცოდნე 7 ენისა. ჯვარის მონასტრის შეკეთების შემდეგ სწერს გაბრიელი, ნიკიფორემ დამტოვა მე იერუსალიმში და თვითონ კი საქართველოში დაბრუნდა და აქედგან თავის მაგიერ წინამძღვრად გამოგზავნა იერუსალიმში ბერ-

*) იხ. «მწყემსი» № 13, 1890 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაზონი მარკოზი, კაცი სწავლული, წმიდა და ღირსი პატივისცემისა.“

«ეს ნიკიფორე სამჯერ იქმნა გაგზავნილი მოსკოვში დესპანად კახეთის მეფის თეიმურაზ I—ისაგან (1605—1663 წ.) რუსეთის მეფის მიხეილ თეოდორეს ძესთან, როგორც კაცი გამოცდილი, გონიერი და თავდადებული თავის ქვეყნისა და ხელმწიფისათვის. ნიკიფორემ თხუთმეტ ჯერ მეტად მოიარა აზია და ევროპა, სადაც იყო ხოლმე გაგზავნილი ხელმწიფეებთან მოსალაპარაკებლად და უმეტესად თავის მინდობილობას წარმატებით აღსრულებდა.. 1635 წელში ნიკიფორე იქმნა სახელწოდებული მიტრაპოლიტად და ითხოვა, რომ იერუსალიმში გაეშვათ, საკურთხებლად, მაგრამ რადგან იგი საჭირო იყო მეფისათვის, თეიმურაზმა არ გაუშვა ის იერუსალიმში. ამ ნიკიფორემ დახატა ჯვარის მონასტრის კედლები.

როდესაც დოსითეი, წევრი იერუსალიმის სინოდისა, ხოლო შემდეგ იერუსალიმის პატრიარქი, მოვიდა სამეგრელოში პატრიარქ პაისისთან ერთად, იგი მიიწვია მოქვის ეპისკოპოსმა თავის მონასტერში. აქვე დაესწრო, სწერს დოსითეი, გამოჩენილი ნიკოლოზი, (ნიკიფორე ჩოლოყაშვილი), რომელიც შთამომავლობით იყო ქართველ აზნაურთაგანი; იგი უწინ დადიოდა იერუსალიმში და როგორც ბერი სცხოვრებდა ქართველების უმთავრეს ჯვარის მონასტერში. ეს გონიერი და მოხერხებული კაცი იყო ვენეციაში, რომში, საფრანგეთში, ისპანიაში, ინგლისში და სხვა და სხვა სამეფოებში და ქვეყნებში, რათა მიეღო ისტორიული განათლება. იერუსალიმში დაბრუნების შემდეგ, ის ისე დაუახლოვდა პატრიარქს თეოფანეს, რომ მან თავის სიკვდილის წინ (1645 წ.) დანიშნა იგი თავის მოადგილედ. მაგრამ ამ დანიშვნამ ფუჭად ჩაიარა. ეს ნიკოლოზი იყო მაშინ საქართველოში (სამეგრელოში). მან და მოქვის ეპისკოპოსმა გააცილეს პატრიარქი დადიანის სასახლეში. პაისის პატრიარქობის დროს, ამბობს დოსითეი მეორე ადგილას, ვინმე ნიკოლოზი დაინიშნა ქართველების მონასტრების წინამძღვრად იერუსალიმში. იგი იყო კახეთიდგან. იმოგზაურა ევროპაში, თავისთავს რაცხდა მცოდნე კაცად, შემდეგ დაბრუნდა საქართველოში, სადაც შეუფერებლად სცხოვრებდა. ჯვარის მონასტერი ჩააბარა ვიღაცა გაბრიელს, რომელმაც დიდ ძალი ვალები დაატეხა მონასტერს; ამ ვალების გადასახდელად ნიკიფორემ საჭირო ფულები გამოგზავნა ჯვარის მონასტერში ვიღაცა მარკოზის ხელით», რომელიც როგორც მოწმობს დოსითეი, დაახრჩო ზღვაში მწვალებლის ნესტორის ერთმა მომხრემ, მაგრამ ამაზე არასოდეს არა სწერს გაბრიელი თავის ნაწერებში. დოსითეი თავის წყალობის წერილში ქართლის მეფის ირაკლი II—სადმი ამბობს ნიკოლოზ ჩოლოყაშვილზე შემდეგს: «როცა წინამძღვრად დაინიშნა ნიკოლოზი, რომელიც მოგზაურობდა საფრანგეთში და სხვა და სხვა ხალხთა შორის და მხოლოდ შეხედულობით იყო ბერი, ხოლო გულით ამპარტავანი და მაცდური კაცი, იერუსალიმში გამოგზავნა მთავარ-დიაკონი გაბრიელი, კაცი ცუდი; ამ დღიდგან ჯვარის მონასტერში მოდიოდენ ცუდი ბერ-მონაზვნები და მათ ჩააგდეს მონასტერი ვალებში. ამ მონასტერს ივერიიდგან არასოდეს არ მიუღია, რადგან თვითონ შესაწირავის შემკრებლები ხმარობდენ შეკრებილ ფულებს თავის სასარგებლოდ».

მალიან ძვირად შეხვდება კაცი ამისთანა განსხვავებას ერთი და იგივე კაცის დაფასებაში. ქართველები აქებენ თავის ღირსს მოღვაწეს, ხოლო ბერძნები აუგებენ. ეს სიძულილი გამოიწვია ალბად ნიკოლოზის იერუსალიმის პატრიარქად დანიშვნამ. ესაა მიზეზი, რომ ისეთი შესანიშნავი ბერძენიც, როგორიც არის დოსითეი, ასე ცუდად იხსენებს ნიკოლოზს. აქედამ ცხადია, რომ იერუსალიმის საპატრიარქო უცქეროდა საქართველოს როგორც მეწველ ძროხას, ხოლო ქართველებს რაცხდა ცხვრებად, რომელთა პარსვა ადვილი იყო.

XVII საუკუნეში იერუსალიმის სამი პატრიარქი ერთი ერთმანერთის შემდეგ მოვიდნენ საქართველოში: თეოფანე (1645), პაისი († 1660 წ.) და დოსითეი († 1707 წ.). მათი მოსვლის მიზანი იყო, რათა სა-

ჭირო ფულები შეკრიბათ დავალიანებული და ნახევრობით დაქცეული ქართველების მონასტრების სასარგებლოდ წმ. ადგილებში და მასთან გაეფრთხილებიათ საქართველოს მეფეები და ხალხი, რომ მათ არ მიიღონ მაჰმადის აღსარება და ფრანგების სწავლა-მოძღვრება. ძალიან ძვირფასი მასალა დაგვიტოვა ჩვენ პატრიარქმა დოსითეიმ, რომელიც ორჯერ მოვიდა საქართველოში (1647—1650 წწ. და 1681—1683 წწ.), თავის «იერუსალიმის პატრიარქების ისტორიაში» და სიგელებში საქართველოს მეფეებისა და სამღვდელოებისადმი. ამ ისტორიიდგან, სხვათა შორის ცხადათა სჩანს საქართველოს და პალესტინის დამოკიდებულება და საქართველოს ხალხის სარწმუნოებრივი და ზნეობრივი მდგომარეობა მეჩვიდმეტე საუკუნეში. ამიტომ ჩვენ აქ მოვიყვანთ ზოგიერთ ადგილებს დოსითეის ისტორიიდგან. აი რასა სწერს დოსითეი ქართველების მეცადინეობაზე, რომ მათ განთავისუფლებიათ ვალისაგან თავიანთი მონასტრები პალესტინაში: «ნიკოლოზის (ნიკიფორეს) სიკვდილის შემდეგ ქართველებმა შეჰკრიბეს ყოველივე, რაც კი დარჩა მასს, მიუმატეს ამას 100,000 პიასტრი და 1659 წელში ეს ფულები გაგზავნეს იერუსალიმში თბილისის ეპისკოპოსის იესეს და რამოდენიმე სახელოვანი კაცის ხელით, რომ მათ გამოეყიდათ მოვალეთაგან ქართველების მონასტრები. მაგრამ ეს ფულები ამ კაცებს მოსტაცეს გზაზე თათრებმა. 1666 წელში, ნექტარის პატრიარქობის დროს, ვინმე ილარიონი, რომელიც შთამომავლობით იყო ქართველ ურიებთაგან, წინამძღვარი ცალენჯიხის მონასტრისა სამეგრელოში, მოვიდა იერუსალიმში; აქ მას უთანხმოება მოუვიდა პატრიარქთან და ამიტომ უკანვე დაბრუნდა და თან წაიღო ყოველივე ის, რაც მოიტანა. 1663 მოვიდა იერუსალიმში ბერი იოსებ ბარათაშვილი, რომელიც გაგზავნილი იყო ქართლიდგან. იგი რაღაცა დაუდევარი კაცი იყო, მან მისცა მოვალეებს ვექსილები, რომელნიც ძალიან საზარალონი იყვნენ მონასტრისათვის და დაბრუნდა ისევ საქართველოში. 1666 წელში მოვიდა იერუსალიმში ვინმე სახელად ხალიბელი და თან მოიტანა 10,000 პიასტრი; ეს ხალიბელი კეთილი კაცი არ იყო, მას არ უყვარდა პატრიარქი; იმან დაურიგა ფულები მოვალეებს, გამოუცვალა ვექსილები, თავნზე შესვა სარგებელიც, ასე რომ ჯვარის მონასტრის ვალი ავიდა 94,000 პიასტრამდის და ამის შემდეგ თვითონაც მალე დაბრუნდა საქართველოში. იოსებ ქართველმა შეჰკრიბა საქართველოში 40,000 პიასტრი, 50 ოქროს ჯაჭვი, სხვა მრავალი ძვირფასეულობა და ერთი ხატი ძვირფასი მორთულობით; იგი წავიდა ტრაპიზონიდამ ხომალდით, რომელიც მთელი მოგზაურებით დაიღუპა ზღვაში. ბოლოს საქართველოს კათალიკოსმა დომენტიმ, მეფის ძმამ, მთელს საქართველოში შეჰკრიბა 100,000 პიასტრი და გარდასწყვიტა მარტო წასულიყო იერუსალიმში, მაგრამ გამგზავრებამდე მოჰკვდა, და შეკრებილი ფული დაიხარჯა. ამასობაში მოსლემანებმა დაისაკუთრეს ქართველების მონასტრები და დაბეჭდეს ისინი. ფრანგებმა და სომხებმა რომ ეს დაინახეს, მათ მოინდომეს ქართველების მონასტრების ხელში ჩაგდება; მაშინ ჩვენ, ღვთის შემწეობით, განვიზრახეთ ამ მონასტრებას განთავისუფლება და რამოდენიმეჯერ მივსწერეთ საქართველოში და, ბოლოს, გადავსწყვიტეთ თვითონ წავსულიყავით საქართველოში.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის, მთავარ-ეპისკოპოსის პალლადის შუამავლობით უწმიდეს სინოდს დაუდგენია, რომ თბილისის სასულიერო სემინარიაში შემოღებულ იქმნეს საქართველოს ეკკლესიის ისტორიის სწავლება. დღემდის ეს საგანი არ შედიოდა სემინარიის პროგრამმაში. ჩვენი სასულიერო სემინარიის თავი და თავი დანიშნულება ის არის, რომ მოამზა-

დას სულიერნი მწყემსნი, რომელთაც ჯეროვანად შეასრულონ თავიანთი დიდი მოვალეობა. და როგორი სულიერი მწყემსია ის, რომელმაც თავის ეკლესიის ისტორია არ იცის! დღეიდამ კი ეს დიდი ნაკლი შევსებული იქმნება.

***

უწმიდესი სინოდის განკარგულებით მომავალი სასწავლო წლიდგან სასულიერო სემინარიებში უნდა შემოიღონ მეურნეობის სწავლება. საექიმო ნაწილის და მეურნეობის შესწავლა ძალიან სასარგებლოა ჩვენი სემინარიელებისათვის, რომელნიც სწავლის დამთავრების შემდეგ მღვდლებად მიდიან სოფლებში და, ჯამაგირის სიმცირისა გამო, იძულებულნი ხდებიან მიწის მუშაობას მიჰყონ ხელი, რომ ამით ლუკმა პური მოიპოვონ. ეს ცოდნა აგრეთვე სასარგებლო დარჩება სამწყსოთათვისაც, რადგან ხალხს შეუძლია შეისწავლოს მეურნეობა თავის სულიერი მამისაგან.

***

ჩვენი საქართველოის შესანიშნავ ტაძრებში და მონასტრებში მრავალი «გუჯრები» არიან დაცულნი, მაგრამ ბევრი მათგანი დღემდისაც შეუნიშნავად არიან მიგდებულნი სადღაც ყურეში და, უცოდინარობისა გამო, მათ ყურადღებას არ აქცევენ და ჯეროვანად არ ინახვენ, როდესაც ეს ისტორიული ნაშთები ძალიან საჭიროანი არიან საქართველოს ხალხის ისტორიისათვის. ამ გუჯრებში ნათლად იხატება ჩვენი ხალხის პოლიტიკური და საზოგადოებრივი მდგომარეობა, მისი უფლება და ეკკლესიის დამოკიდებულება სახელმწიფოსთან. ამ ისტორიული ნაშთების შეუსწავლელად ძალიან ძნელია საქართველოს ხალხის ისტორიის შესწავლა. ამიტომ ჩვენ დიდის სიამოვნებით ვასრულებთ ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორის ბ. ხახანაშვილის თხოვნას მისგან შეკრებილი «გუჯრების» ჩვენს გამოცემაში დაბეჭდვის შესახებ. ეს «გუჯრები» პირველად დაიბეჭდებიან ჩვენს გამოცემაში და შემდეგ წიგნებად გამოიცემიან «მწყემსი»-ს რედაქციისაგან.

***

დღემდის სამღვდელო პირთა დაჯილდოება განსხვავებული სამსახურისათვის ხდებოდა ხოლმე პასექის დღეს. ამიტომ დასაჯილდოებელ პირთა სია უწმიდესის სინოდის უკაზის ძალით დგინდებოდა ყოველი წლის პირველი დეკემბრიდგან. დღეს კი უწმიდესი სინოდის გარდაწყვეტილებით სასულიერო პირთა დაჯილდოება მოხდება **ხელმწიფე იმპერატორის** გვირგვინოსნების დღეს, ამიტომ ეპარქიის მღვდელ-მთავრებმა დასაჯილდოებელ პირთა სიები უნდა წარადგინონ უწმიდეს სინოდში არა პირველ დეკემბერს, როგორც დღემდის იყო, არამედ ყოველი წლის პირველ თებერვალს, ამასთან დღიდგან თვითონ მღვდელ-მთავრებს შეუძლიათ დააჯილდოვონ მღვდლები სკუფიით. სკუფიით დასაჩუქრება შეიძლება მხოლოდ იმ მღვდლისა, რომელსაც მიღებული აქვს ნაბედრენიკი და ამ საჩუქრის მიღების შემდეგ განვლო უკვე სამმა წელმა. მხოლოდ მღვდელ-მთავრებმა ყოველ წლობით უნდა აცნობონ ხოლმე უწმიდეს სინოდს, თუ რამოდენი პირი დააჯილდოვეს მათ სკუფიით. აგრეთვე მღვდელთ-მთავრებს შეუძლიათ თავიანთი უფლებით დააკმაყოფილონ საერო მთავრობათა შუამდგომლობა სამღვდელო პირთა სკუფიით დაჯილდოების შესახებ, როცა ამ სამღვდელო პირთ რაიმე სამსახური მიუძღვისთ საერო წოდებაში.

***

უწმიდესი სინოდის დადგენილობის ძალით სამღვდელო პირთ უფლება ეძლევათ დაიხურონ თავზე შავი ფერის სკუფია, როცა ისინი რომელიმე მღვდელ-მოქმედებას ასრულებენ გარეთ.

***

ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, თუ რა დიდი უთანხმოება სუფევდა სამეგრელოის ეპარქიის სამღვ-

დელოების შორის მათი ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებლისათვის სამუდამო ადგილის ამორჩევის შესახებ. სამღვდელოება სამ დასად იყო გაყოფილი: ერთ ნაწილს სასწავლებლის გადატანა სურდა ფოთში, მეორეს—ახალ-სენაკში, ხოლო მესამეს—მარტვილში. ბოლოს დროს სამღვდელოების უმეტესი ხმით გარდაწყდა ამ სასწავლებლის ახალ-სენაკშივე დარჩენა. სამღვდელოების კრების დადგენილობა ამ საგნის შესახებ უკვე დაამტკიცა უწმიდესმა სინოდმა. ამასთანავე დამტკიცებულია სინოდისაგან წარდგენილი გეგმა სასწავლებლის შენობისა. შენობისათვის გამოანგარიშებულია 40,000—70,000 მანეთამდე. მისი უსამღვდელოესობის გურია-სამეგრელოის ეპისკოპოსის გრიგორის განკარგულებით ამა წლის 29 მაისისათვის სამღვდელოების კრება იყო დანიშნული ახალ-სენაკში. კრებას უნდა გამოენახა წყარო სასწავლებლის შენობისათვის საჭირო ფულებისა. დანიშნულს რიცხვს კრება არ შესდგა, რადგან არ გამოცხადდა ჯეროვანი რიცხვი დეპუტატებისა. ამიტომ კრება გადიდო ამა აგვისტოს 27—28 რიცხვებისათვის. დანიშნულს რიცხვს ახალ-სენაკში შეიკრიბნენ სამღვდელოების დეპუტატები და შეუდგნენ საქმეს. კრებამ დაადგინა, რომ შენობისათვის იქმნეს შეკრებილი 40,000 მანეთი. ამასთანავე დანიშნა აღმაშენებელი კომიტეტი, რომელიც შესდგება ხუთი პირისაგან და ყოველივე საქმე შენობის შესახებ სამღვდელოებამ ამ კომიტეტს მიანდო. ამასთანავე კრებამ დაადგინა: თუ 40,000 მანეთი საკმაო არ იქნება შენობისათვის, მაშინ დანარჩენი საჭირო ფულები კიდევ გამოიღოს. დაწვრილებითი ანგარიში ამ კრების შესახებ შემდეგ ნომერში იქმნება დაბეჭდილი.

* *
*

ჩვენ შევიტყევით, რომ უწმიდეს სინოდს სახეში აქვს გაუადვილოს სამღვდელოებას საეკკლესიო საბუთების წარმოების საქმე. დღემდის ალსარებითი სიები იწერებოდა ორ-ორი ცალი. ერთი ცალი რჩებოდა ადგილობით ეკკლესიაში, ხოლო მეორე—იგზავნებოდა საქართველო-იმერეთის სინოდალნის კანტორაში. აწი კი საჭირო აღარ იქმნება ალსარების სიის მეორე ცალის შედგენა კანტორაში გასაგზავნად.

*
* *

აგვისტოში მისი ყოვლად უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი გაემგზავრა ქუთაისიდგან შორაპნის მაზრაში ზოგიერთი ახლად აღშენებული ეკკლესიების საკურთხევლად. თუმცა ძალიან დიდი სიცხეები იყო, მაგრამ მათმა მეუფებამ პატივი სცა ხალხის თხოვნას. ყოვლად სამღვდელომ აკურთხა ორი ეკკლესია ბლალოჩინის იოსებ წერეთლის საბლალოჩინო მაზრაში და დახედა რამოდენიმე ეკკლესიები და სამრევლო სკოლები. შემდეგ მათი მეუფება გაემგზავრა რაჭის მაზრაში ეკკლესიების დასახედავად. მათი მეუფება, ჩვეულებისამებრ, ყოველ ეკკლესიაზე სიტყვა დარიგებასეუბნება შეკრებილ ხალხს.

*
* *

წელსაც მრავალი ბავშვები ჩამოიყვანეს მშობლებმა ქუთაისში სასულიერო სასწავლებლის დასაწყის მოსამზადებელ კლასში მისაცემად, მაგრამ, ამ განყოფილების უმექონებლობისა გამო, მშობლები იძულებულნი არიან უკანვე წაიყვანონ თავიანთი შვილები და როგორმე მოამზადონ მეორე მოსამზადებელი კლასისათვის.

*
* *

აფხაზეთის ეპარქიიდგან ზოგიერთ მისსიონერთაგან ძალიან სამწუხარო ამბები მოგვდის. იწერებიან, რომ მათ დიდ დაბრკოლებას აძლევენ მათი სალმრთო მოვალეობის ასრულების საქმეში მკითხავები და ცრუ «მოლები». სახოროციელო მთავრობაც, იწერებიან ისინი, ჯეროვანს შემწეობას ვერ გვაძლევს ჩვენ, რადგან თვითონ ადგილობითი მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენელნი პირნი მართლმადიდებელი ალსარებისანი არ არიან. საზოგადოდ ამ მისსიონერების წერილებიდგან სჩანს, რომ ქრისტიანობის გავრცელების საქმე დღეს უფრო ცუდად მიდის აფხაზეთში, ვინემ განსვენებულის მეფის დროს.

*
* *

როგორც გვაცნობებენ, თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორს არქიმანდრიტს მ. ნიკოლოზს უთხოვნია ჩვენი გამოჩენილი პედაგოგის იაკ. ს. გოგებაშვილისათვის, რომ მან ნაცვლად «დედა-ენისა» რამე სახელმძღვანელო წიგნი შეადგინოს სამრევლო სკოლებში სახმარებლად.

*
* *

მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის პალლადის ნება-დართვით 1 სექტემბერს სამრევლო საეკლესიო სკოლა გაიმართება დიდუბის წმ. ღვთის-მშობლის ეკკლესიასთან. ამ სკოლაში მიიღებენ ყმაწვილებს (ვაჟებს) 8—10 წლისას, წოდებისა და სარწმუნოების განურჩევლად. მოთავე ამ საქმისა არის იმავე ეკკლესიის მღვდელი მ. ბესარიონ ზედგინიძე, რომელსაც უნდა მიჰმართონ, ვისაც ჰსურს შვილი მიაბაროს ზემოხსენებულს სკოლაში. ამ ნაირივე სკოლა იმართება ქაშვეთის ეკკლესიასთანაც. ეს სკოლაც სექტემბრის 1—დგან დაიწყებს მოქმედებას. («Ივერია»).

* * *

«Новое Время» ამბობს: რადგან ამ ჟამად შავი ზღვის პირად უკვე გაყვანილია რკინის გზა, ამიტომ მთავრობამ გარდასწყვიტა, მიაქციოს დიდი ყურადღება აფხაზეთს და იმის წარმატებას ეკონომიურად და ზნეობრივად. მთავრობას განზრახვა აქვს მისსიონერები გაჰგზავნოს და კრებულთა რიცხვი გაამრავლოს. ამ სამღვდელოთ უნდა იცოდნენ აფხაზური ენა და რუსულ ენის გავრცელებასა სცდილობდნენ. სხვა-და-სხვა ღონისძიება უნდა იქმნას ხმარებული, რომ აფხაზებმა შეისწავლონ სასოფლო მეურნეობა და მებაღეობა. უფრო იმ მეურნეობას უნდა მიექცეს ყურადღება, რომელსაც ამ ჟამად მისდევენ აფხაზები. («Ივერია»).

* * *

«Ივერიაში» ვკითხულობთ: 11 აგვისტოს მცხეთის ტაძარში, სალამოს ლოცვის დროს, ჭერიდგან დიდი კირის ნაგლეჯი ჩამოვარდა და კინაღამ თავში დაეცა ამ დროს მლოცავს ა. ბორისოვისას. ეს პირველი შემთხვევა არ არის აქ. მართალია, შეკეთება უკვე დაიწყეს, მაგრამ საქმე მეტად ზლაზვნით მიდის. სასურველია, რომ ცოტა აუჩქარონ, თორემ სანამ ერთს ალაგას შეაკოწიწებენ, ახლა მეორე დაზიანდება ხოლმე. დღეს ტაძრის ჭერი იმ ყოფაშია, რომ არა ერთ და ორ ალაგას წვიმაც-კი ჩამოდის.

* * *

ამავე გაზეთში ვკითხულობთ:

«ბ—ნს ბრენს თელავის მაზრის სოფ. ენისელში, ჯორჯაძეების ოჯახში, ერთი ძველი და ფრიად შესანიშნავი ხუცური ხელ-ნაწერი. ეს ხელ-ნაწერი ძველი ქართული კანონებია, ბერძნულიდგან ნათარგმნი. ბერძნულად იგი დაუწერია მიხეილ კონსტანტინოსს, იმპერატორ მანუელ კომნენის წიგნთ-საცავის მთავარ-გამგეს. ხელთ-ნაწერი, როგორც ეტყობა, თამარის დროისა უნდა იყოს და 1135 წ. უნდა ეკუთვნოდეს. სამწუხაროდ, ეს კანონების წიგნის დასაწყისი დაკარგულია, მხოლოდ ბოლოა დარჩენილი, 291—307 გვერდ. ამ 291 მხოლოდ ქორწინების კანონები იწყება და სათაურადაც «ქორწინისათვის აწერია. ამ კანონებში ერთგან, მაგალითებრ, ნათქვამია, რომ ვექილებს (опекунъ) აღეკრძალებათ იმათი შერთვა, ვის მზრუნველადაც არიან დანიშნულები. საყურადღებო უფრო-კი ის არის, რომ ეს კანონი ერთ ალაგას მოცეკვავეთა და მოთამაშეთ თავის ბატონისა და ქალბატონის შერთვას უკრძალავს. აქედგან აშკარად სჩანს, რომ უწინაცა ყოფილან განსაკუთრებულნი მოცეკვავენი და მოთამაშენი. როგორც შევიტყვეთ, ბ—ნს ბრენს ამ კანონების რუსულად გადათარგმნა უნდა და დაბეჭდვა.

* * *

ჩვენ მივიღეთ ორი პატარა წიგნი პოემანი, სახელად «წყალობა» და «მარაბდა», შედგენილნი ანტონ ფურცელაძისაგან და გამოცემულნი ზ. ჩარკვიანისაგან. წიგნები კოხტად და სუფთად არიან გამოცემულნი და ფასიც არ არის დიდი დადებული წიგნებზე; თითოეული წიგნი ღირს 20 კ. პირველი წიგნი არის 44 გვერდი და მეორე 52 გვერდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზედ.

---

## სიტყვა

### პირუტყვების შებრალებაზე თქმული, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისაგან.

> მართალნი სწყალობენ სულსა ცხოვართა თვისთასა, ხოლო ნაწლევი არა წმიდათა უწყალო (იგავ. სოლ. იბ, ი).

სოლომონ ბრძენი, მეფე ურიათა, წიგნსა შინა თვისსა იგავთასა, სხვათა მშვენიერთა დარიგებათა შორის, სწერს ამ დარიგებასაც: მართალნი სწყალობენ სულთა ცხოვართასა, ხოლო ნაწლევი არა წმიდათა უწყალო; ე. ი. კაცი მართალი და კეთილი სწყალობს ცხოვართა, ანუ საქონელსა: მას ებრალება იგინი; ხოლო კაცი უკეთური და ბოროტი არის უწყალო პირუტყვთან, ანუ შინაურს საქონელთან!

ძმანო ჩემნო ქრისტიანენო! დღეს მე მსურს მოგელაპარაკო ამ საგანზე; მსურს აღგიხსნა ის ზნეობის სწავლა, რომელსაც გვაძლევს ჩვენ სოლომონ ბრძენი ამ სიტყვებში, რომელიც ახლა მოვიყვანეთ; ე. ი. როგორ უნდა ექცეოდეს ადამიანი საქონელს და როგორ უნდა უვლიდეს მასს. თუ ვინმე იფიქრა: ეს საგანი არის მცირე და არა შესაფერი ამ წმიდა ადგილისა, მას მე ვუპასუხებ: თუ მცირე იყოს იგი და შეუსაბამო, დიდი ბრძენი და წარჩინებული მეფე სოლომონ არ აჰხსენებდა მას წიგნსა შინა თვისსა. ვინც ჰფიქრობს, რომ ამ საგანზე არა ღირს უბნობა ეკკლესიასა შინა, მას უთუოდ არ უნახავს, რა უწყალოდ ეპყრობიან ჩვენში პირუტყვთა; მას არ უფიქრია, რა დიდი ვნება გამოდის აქიდგან და რა წინააღმდეგია კეთილისა და ქრისტიანულისა ზნეობისა უწყალო მოქცევა საქონელთან.

მართლა, ჩვენს ქვეყანაში დაბალი ხალხი ერთობ უწყალოდ და უგვანოდ ეპყრობა საქონელსა, ვისაც ყურადღება მიუქცევია ამ საგანზედ, იცის, რა გამხდარი, ულონო, გაფუჭებული, დაცემული არის ჩვენს ქვეყანაში შინაური პირუტყვი; ეს მისთვის, რომელ ჩვენს ქვეყანაში ყოველგან საქონელს ინახვენ ცუდად, საჭმელს არ აძლევენ საკმაოდ, ეპყრობიან უწყალოდ და სასჯელსა და შრომასა უზომოდ მიაყენებენ. ზამთარში დამშეული და გამხდარი პირუტყვი გაზაფხულზედ ისრედ არის შეწუხებული, რომ ძლივს დადის; გარნა მაშინვე შეაბმენ ულელში და, თუ კარგად არ იმუშავა, უწყალოდ სცემენ. ხშირად ნახავ ქალაქში და სოფელში, როდესაც ულონო და მშიერი ხარი ვერ ჰზიდავს ურემსა. მაშინ მისი პატრონი, თითქოს გაცოფებული, უწყალოდ სცემს და ჰკლავს მას. მერმე დაუკვირდი და შეჰხედე მისს უგუნურებას! იგი უბედურს პირუტყვს სცემს თავში და თვალში და ხშირად თვალებს და სხვა ასოებს უხდენს. და როგორ ეპყრობიან აქაურნი მხედარნი თვისთა ცხენთა, ამას კაცის ენა ვერ გამოსთქვამს! ზოგიერთი უგუნური აქაური მხედარი ერთს შეჯდომაზე ისე გააფუჭებს კარგს ცხენს, რომ ერთს წელიწადს აღარ გამოადგება, თუ სრულიად არ მოჰკვდა. რომელსაც გონიერი და ჭკვიანი კაცი ათსა და ოცს წელიწადს კარგად იხმარს და ისარგებლებს, იმას ჩვენებური კაცი ერთს წელიწადს გაათავებს. ერთხელ ერთმა აქაურმა გადარეულმა აზნაური—შვილმა, როდესაც მისმა მშიერმა და დატანჯულმა ცხენმა ეღარ შეიძლო კარგად გაჭენება აღმართზე, ჩამოხტა, სატევარი ჰკრა მას მუცელში და მოჰკლა. აჰა, რა გონიერი ჩვეულება გვაქვს ჩვენ! ახლაც იტყვი, რომ საჭირო არ იყოს ამა საგანზედ მოძღვარმან მოგცეს დარიგება?

მართალნი სწყალობენ ცხოვართა თვისთასა, ხოლო ნაწლევი არა წმიდათა უწყალო. ამ სიტყვათაგან ისწავლე, ძმაო ჩემო, რომ უწყალოდ მოქცევა პირუტყვთან არის ცოდვა. შენ იქმნება გაგაკვირვოს ამ სიტყვამ; შენ უთუოდ ისე იფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრებდი, რომ, როგორც გინდა მოექცე პირუტყვს, ცოდვა არ არის; გარნა დაგაჯეროს სიტყვამ სოლომონისამან, რომელ უწყალოდ მოქცევა პირუტყვთან ბოროტი კაცის თვისება და საქმე არის. მართლა, როდესაც შენ სცემ, აწვალებ, სტანჯავ პირუტყვსა, ამით ცხადათ გამოაჩენ, რომ შენ გაქვს ცუდი ხასიათი, ბოროტი, ფიცხელი და უწყალო გული; თუ ბოროტი კაცი არ იყო, პირუტყვიც შეგეცოდებოდა; იფიქრებდი, რომ ცემა, უჭმელობა, ცუდად მოვლა საქონელსაც ისე სტანჯავს, როგორც კაცსა. თუ გინდა, რომ პირუტყვმა კარგად იმუშაოს და ცემა აღარ დასჭირდეს, კარგად შეინახე და მოუარე.

**მართალნი სწყალობენ სულსა ცხოვართა მათთასა, ხოლო ნაწლევი არა წმიდათა უწყალო.** კეთილი და მოწყალე ადამიანი არა თუ მხოლოდ კაცს უნდა სწყალობდეს, არამედ პირუტყვსაც; საქონელი და პირუტყვი არის დატანჯული და წამხდარი მხოლოდ იმ ქვეყნებში და იმ ხალხში, სადაც არ არის კეთილი ზნეობა, სწავლა. **გაგვიგონია** მოგზაურთაგან, რომელთა უნახავთ განათლებული ევროპიის ქვეყნები, რომელ მუნ მარტო შინაური პირუტყვის შეხედვა აჩვენებს კეთილ-ზნეობასა და განათლებასა ადგილის მცხოვრებთა, ვინაიდგან მუნ ყოველი საქონელი არის საკვირველად მოშენებული და გაკეთებული.

**მა**შასადამე, რანაირად უნდა ვეპყრობოდეთ ჩვენ პირუტყვთა? ისე, როგორც გვასწავლის ჩვენ სოლომონ ბრძენი. იგინი უნდა გვებრალებოდეს ჩვენ, კარგად უნდა უვლიდეთ და კარგად ვინახავდეთ. ღმერთმა პირუტყვნი დაგვიმორჩილნა ჩვენ და მოგვცა ჩვენ მოსამსახურედ, ვითარცა იტყვის საღმრთო წერილი: მთავრობდეთ თევზთა ზღვათასა და ფრინველთა ცისათა და ყოველთა პირუტყვთა. **გ**არნა ღმერთს ნება არ მოუცია ჩვენთვის, რომ ვტანჯოთ პირუტყვი. შენ შეგიძლია მოიხმარო პირუტყვი სასარგებლოდ, გარნა, როდესაც სტანჯავ, ამით სცოდავ ღვთის წინაშე. **შ**ემცდარი ხარ, თუ ჰფიქრობ, რომ ღმერთს მხოლოდ კაცი უყვარს და სხვათა ქმნილებათა თვისთა კი არ მიჰხედავს. ღმერთი არის მამა საზოგადოდ ყოველთა თვისთა ქმნილებათა. მართალია, კაცი არის გვირგვინი ყოველთა ხილულთა მისთა ქმნილებათა; კაცი ღმერთს უყვარს უმეტესად ყოველთა; კაცის ნათესავის გამოხსნისათვის და განათლებისათვის ღმერთმან მხოლოდ-შობილი თვისი ძე მოავლინა ქვეყნად; გარნა ღმერთს მაინც არ იამება, რომ უფროსმან და უმჯობესმან მისმან ქმნილებამან, ე. ი., კაცმან, სტანჯოს და აწვალოს უმცროსნი მისნი ქმნილებანი—პირუტყვნი. შენ სახლში და ოჯახში უფროსმან შენმან შვილმან რომ სტანჯოს და აწვალოს უმცროსი შენი შვილი, უთუოდ გეწყინება და დაუშლი: მსგავსად ამისა ღმერთსაც ეწყინება და გიშლის ტანჯვას უმცროსთა თვისთა ქმნილებათა.

ბოლოს, თუ სხვა მიზეზი არ შეგაგონებს და არ გასწავლის პირუტყვთა მოწყალებასა, შენმა საკუთარმა სარგებლობამ უნდა გასწავლოს მათი შებრალება. **რა სახით?** მით რომელ, თუ საქონელს ყოველთვის უჯავრდები, სცემ, სტანჯავ, ამით ბოლოს თვით შენ გაგიფუჭდება ხასიათი და ზნე, მიეჩვევი ცოტ-ცოტად გულ-ფიცხელობას, მოუთმენელობას, უსამართლობას, ასე რომ ბოლოს პირუტყვისაგან ადამიანზედ გადიტან შენს გულ-ფიცხელობას და გახდები ერთი ცუდი, გაუტანელი კაცი. ეს ჰაზრი ჩვენგნით არ არის მოგონებული. ამას ამტკიცებს გამოცდილება. მრავალ-გზის მომხდარა ისეთი მაგალითი, რომ კაცმა სიყმაწვილიდგან გაიფუჭა და წაიხდინა ზნე—მით, რომელ უყვარდა ტანჯვა პირველად მფრინველების ბარტყებისა, მერმე წვრილის შინაურის პირუტყვებისა და ბოლოს იწყო ტანჯვა და გვემა კაცებისა, შთავარდა კაცის მკვლელობასა და დიდსა სასჯელსა შინა. მეორედ, როდესაც შენ საქონელი გებრალება და კარგად უვლი მასს, მაშინ იგი დიდს ხანს გასძლებს, კარგად მუშაობს; მაშასადამე მომატებულს სარგებლობას გაძლევს, და თუ კი ცუდად უვლი და სტანჯავ, ვერც დიდს ხანს სძლებს, ვერც კარგად მუშაობს და მაშასადამე თვით შენ სარგებლობა გაკლდება; შენ თვითონვე სჯი შენს თავსა.—ამინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მრავალ წამებული იობი.

უწინდელს დროში, აღმოსავლეთისკენ, უცის ქვეყანაში, სცხოვრებდა კაცი ვინმე, სახელად იობი. იგი იყო უბიწო, ღვთის მოშიში, მართალი და განშორებული ყოველივე ბოროტისაგან. მთელს აღმოსავლეთის ქვეყანაში იობი იყო ყველაზე მდიდარი და შესანიშნავი; მას ჰყვავდა შვიდი ვაჟი და სამი ქალი, მრავალი მოსამსახურე და მრავალი ჯოგი: შვიდი ათასი წვრილი ოთხ-ფეხი, სამი ათასი აქლემი, ხუთასი წყვილი ხარი და ხუთასი ვირი. მეზობლებს ძლიან უყვარდათ და დიდ პატივსა სცემდენ იობს. როცა იობი შევიდოდა კრებაში, მოხუცებულნი და ყმაწვილნი, ნიშნად პატივისცემისა, მაშინვე ადგებოდნენ ფეხზე და იდგნენ იობის წინაშე. როცა იობი დაიწყებდა ლაპარაკს, ყველანი ჩუმდებოდენ და დიდის ყურადღებით ისმენდენ მის ბრძნულ საუბარს. ყველანი ემორჩილებოდენ იობს, მის წინაშე ხმას არავინ იღებდა და ისე ელოდენ მასს, როგორც წვიმას, როგორც ციურს ნამს; ვისაც გაუღიმებდა იობი, იგი ბედნიერად სთვლიდა თავის თავს. იობი სცხოვრებდა მეფურად, ყოველთვის კრების თავს იჯდა; იგი იყო მანუგეშებელი მტირალთა, მამა ღარიბთათვის, იგი იყო გზის მაჩვენებელი ბრმათა და კოჭლთათვის. იგი იფარავდა შეწუხებულთ, ყურს უგდებდა ობოლთ, ანუგეშებდა ქვრივთა. თავის მოსამსახურეებს ეპყრობოდა კარგად და ყოველთვის თავის დროზე აძლევდა მათ ხვედრ ქირას. მისი სახლის კარები ყოველთვის ღია იყო გამვლელ-გამომვლელთა და მოგზაურთათვის. ყველანი, რომელთაც კი ნახული ჰყავდათ იობი, აქებდენ მასს; ყველანი, ვისაც კი გაგონილი ჰქონდა მისი სახელი, ლოცავდენ მასს.

მთელი სახლობა იობისა სცხოვრებდა ურთიერთ შორის მშვიდობიანად და სიყვარულით. მისი შვილები რიგ-რიგობით იკრიბებოდენ ერთმანერთთან სანადიმოდ. ლხინებზე მოიწვევდენ ხოლმე ვაჟები თავის დებსაც. როცა ლხინის დღეები თავდებოდა, იობი აკურთხევდა ხოლმე თავის შვილებს და თვითოეული მათგანისათვის სწირავდა ღმერთს მსხვერპლს. შეიძლება, იტყოდა ხოლმე იობი, ჩემმა შვილებმა ამ დღეებში შესცოდეს ღმერთს, შეიძლება იმათ ჰგმეს ღმერთი თავის გულში. ყველა ასეთ დღეებში ამ გვარად იქცეოდა იობი.

ერთხელ ანგელოსნი ღვთისანი შეიკრიბნენ, რათა წარსდგნენ წინაშე ღვთისა. მათთან ერთად მოვიდა ეშმაკიცა. უფალმა ჰკითხა ეშმაკს: საიდგან მოხვედი შენ? მან მიუგო: მე ვიდოდი ქვეყანაზე და მოვიარე მთელი დედა-მიწა. მიაქციე თუ არა შენ ყურადღება, ჰკითხა ხელახლად უფალმა ეშმაკს, ჩემს მონას იობს? მისი მსგავსი კაცი არ მოიპოვება ქვეყანაზე: იგი არის მართალი, უბიწო, ღვთის მოშიში, განშორებული ყოვლისაგან ბოროტისა. ეშმაკმა მიუგო უფალს: განა ტყუილად არის იობი ამისთანა? განა შენ არ იფარავ მასს, მისს სახლს და ყოველ მის ქონებას, შენ აკურთხე საქმენი ხელთა მისთანი და უხვად დააჯილდოვე იგი სიმდიდრით; მაშ მიავლინე შენი სული და შეეხე ყოველსა, რაც კი მას აბადია; აბა თუ მაშინ გაკურთხევს და გადიდებს შენ იგი? უფალმა რქვა ეშმაკს: ყოველივე, რაც კი გააჩნია იობს, შენ შეგიძლია წაართვა მას, მაგრამ თვითონ მისი შეხება კი არ გაბედო. ეშმაკი გამოვიდა პირისაგან უფლისა.

ცოტა ხნის შემდეგ იობთან მოვიდა ერთი მოამბე და უთხრა მასს: შენნი მონანი ხნავდენ მინდორს ხარებით, მათ მახლობლად სძოვდენ შენი ვირები; უეცრად დაეცენ მათ მტერნი, წარეკეს ხარები და ვირები, ხოლო მოსამსახურენი ამოსწყვიტეს მახვილითა; მხოლოდ მე გადავრჩი და მოვედი, შესატყობად. ჯერ კიდევ გათავებული არ ჰქონდა ლაპარაკი პირველს მოამბეს, რომ მოვიდა მეორე და სთქვა: ცეცხლი გადმოვარდა ზეცით ქვეყნად და დაეცა შენს მცხვრებს და მწყემსებს, ამ ცეცხლმა დასწვა და შესჭამა იგინი; მე მხოლოდ გადავრჩი და მოვედი ამბავის შესატყობად. მეორე მოამბეს არ გაეთავებია კიდევ ლაპარაკი, რომ მესამე მოამბე მოვიდა და უთხრა იობს: ქალდეველნი დაეკნენ შენს აქლემებს და წარიტაცეს იგინი, ხოლო მონანი, რომელნიც იყვნენ აქლემებთან, ამოხოცეს მახვილით; მე მხოლოდ გადავრჩი და გამოვეჩქარე, რომ შენ შეგატყობინო. მესამე მოამბეს არ გაეთავებია კიდევ ლაპარაკი, მოვიდა მეოთხე და სთქვა: ბატონო! შენნი ძენნი და ასულნი სვამდენ და სჭამდენ უმფროსი ძმისას; უეცრად შემოუბერა უდაბნოდგან დიდმა ქარმა, დაეტაკა სახლის ოთხივე კუთხეს, რომელშიაც შენი შვილები მხიარულო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბდენ; სახლი დაინგრა და ყველა შენი შვილები ამოწყვიტა. იობმა მოუსმინა მოამბეთ, და თუმცა მისთვის ფრიად სამძიმო იყო შვილების სიკვდილი და იმოდენი მისი სიმდიდრის დაკარგვა, მაგრამ ღვთისათვის არ უწყენინებია და ერთი უბრალო სიტყვაც კი არ წარმოუთქვამს. იგი ადგა, შემოიხია ტანზე ზემოტანთსაცმელი, თავი მოიპარსა, ნიშნად მწუხარებისა, დავარდა მიწაზე, თაყვანი სცა უფალს და სთქვა: თვით მე შიშველი გამოვედი მუცლიდგან დედისა ჩემისა, შიშველიცა განვიდე მუნვე; უფალმა მომცა, უფალმა მიიღო; როგორც სურდა უფალს, ისე იქმნა; იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ უკუნისამდე!

ერთ დღეს ღვთის ანგელოსნი შეიკრიბნენ, რათა წარსდგენ წინაშე ღვთისა. ანგელოსებთან ერთად მოვიდა ეშმაკიცა. უფალმა რქვა ეშმაკს: მიაქციე თუ არა შენ ყურადღება ჩემს მონას იობს? იგი დღესაც მტკიცედ იცავს თავის უბიწოებას; ხოლო შენ მაქეზებდი მე მის წინააღმდეგ, რომ იგი უდანაშაულოდ დამეღუპა. ეშმაკმა მიუგო უფალს: ტყავი ტყავისა წილ, ხოლო თავის სიცოცხლისათვის კაცი არ დაიშურებს, რაც კი გააჩნია, ე. ი. თუმცა იობი მოაკლდა ყოველივეს, მაგრამ იგი თვითონ ცოცხალი და ტანმრთელი დარჩა; აბა აღიპყრე ხელნი შენნი და შეეხე მის ხორცს და ძვლებს: აბა თუ მაშინ გადიდებს იგი შენ? უფალმა უთხრა ეშმაკს: მე გაძლევ შენ იობს; უყავი მას, რაც გინდოდეს, მხოლოდ მისს სიცოცხლეს არ შეეხო. ეშმაკი წავიდა უფლისაგან და მაშინვე დახცა იობს საოცარი და შემაწუხებელი წყლულებანი, რომელმანც დაჰფარა მისი სხეული ფეხიდამ თავამდის. იობმა მიატოვა თავის სახლი, რომელშიაც სცხოვრებდა იგი, გავიდა მინდვრად, დასჯდა იგი სკორეთა ზედა, აღიღო ხელში კეცი, რათა დაიფხიკოს თავისი სხეული, რომელიც დაფარული იყო სიმყრალით და მატლებით.

ცოტა ხნის შემდეგ იობთან მივიდა მინდორში მისი მეუღლე და უთხრა მას: სადამდის გინდა დაითმინო შენ ეს უბედურება? ყველამ დაგივიწყა შენ, შვილები დაგვეღუპა, უქმად გაგვიარა შრომამ; თვითონ შენ მატლთა შინა ჯდიხარ, ღამეს ატარებ ხის ქვეშე; ხოლო მე დავეთრევი და ვმსახურებ, დავეთრევი ერთი ადგილიდგან მეორეზე, სახლიდგან სახლში, მოუთმენლად ველი მზის ჩასვლას, რომ განვისვენო შრომათა და სალმობათაგან, რომელნიც დღეს მაწუხებენ მე: უკეთესია, სთხოვო ღმერთს სიკვდილი და მოჰკვდე. იობმა მიუგო ცოლს: შენ ლაპარაკობ, როგორც უგნური დედაკაცი; თუ კეთილი მივიღეთ უფლისაგან, განა ბოროტი კი არ უნდა მივიღოთ? და არ შესცოდა იობმა ღმერთსა ბაგითა თვისითა.

იობის მეგობრებმა: ელიფასმა, ვალდადმა და სოფარმა შეიტყვეს რა თავის მეგობრის უბედურება, წარვიდნენ მასთან. გზაზე იგინი შეხვდენ ერთი-ერთმანერთს და ერთად გაემგზავრენ იობის სანუგეშებლად. როცა მივიდნენ იობთან, მათ კიდეც ველარ იცვნეს იგი. ბოლოს, როცა მათ იცვნეს იობი, ღაღადჰყვეს და სტიროდენ. შემოიხიეს ტანთსაცმელი, თავზე დაიყარეს მტვერი, დასჯდენ მიწაზე, იობის პირ-და-პირ. იგინი ისხდენ ხმა ამოუღებლად შვიდი დღე და შვიდი ღამე. არც ერთ მათგანს ერთი სიტყვა არ წარმოუთქვამს, ვინაიდგან ხედვიდენ იობის დიდს წვალებას და არ იცოდენ, რა ეთქვათ, რომ ნუგეში ეცათ ტანჯულისათვის.

პირველად იობმა განაღო ბაგენი თვისნი, მან წარმოსთქვა თავისი აღურაცხელი მწუხარება. დაიღუპოს ის დღე, სთქვა იობმა, რომელ დღესაც მე დავიბადე, და ღამე, რომელშიაც გავისახე დედის მუცელში. იყოს დღე იგი ბნელ და არ ამოანათოს მასში ნათელმა! და დაფაროს ღამე იგი ბნელმა და არა იქმნეს იგი დღეთა შინა წლისასა. დაბნელდენ ვარსკვლავნიცა მის ღამისანი, და ითმენდეს განათლებად და არა მოვიდეს, ვინაიდგან არ დახშა ბჭენი მუცლისა დედისა ჩემისა და არა დაჰფარა თვალთა ჩემთაგან სალმობანი! რატომ არ მოვჰკვდი მე მაშინ, როცა დავიბადე მუცლისაგან? ეხლა ვიწოლებოდი და მოსვენებული ვიქნებოდი; მეძინებოდა მოსვენებით იქ, სადაც უსჯულებანი არ არიან, სადაც განისვენებენ დაღლილნი, სადაც პატიმარნი სიამოვნებენ მოსვენებით, სადაც მცირენი და დიდნი თანასწორნი არიან ურთიერთ შორის, სადაც მონა თავისუფალია თავის ბატონისაგან. ეხლა ვოხრავ და ვსტირი; რისიც მეშინოდა, ის მეწია. რასაც ვერიდებოდი, ის შემემთხვა. დღეს არა არის ჩემთან მშვიდობა, მოსვენება და სიხარული!

იობის ერთმა მეგობარმა ელიფასმა მიუგო იობს: სამძიმო ხომ არ იქნება შენთვის, რომ რამოდენიმე სიტყვა გითხრა? მაგრამ სიტყვა რა საწყე-

ნია. უწინ შენ თვითონ არიგებდი მრავალს, შენ ნუგეში ეც ხელთა უძლურთა, შენი სიტყვით აღადგინე უძლურნი, ხოლო მუხლითა უძლურთა ძალნი გარე მოესხენ. ხოლო ეხლა შენამდისაც მოახწია სალმობამ, შენც დაუძლურდი; შეგეხო შენ და შენ შეძრუწუნდი. შენი ღვთის მოშიშობა უნდა იყოს შენი სასოება და უბიწოება—იმედი. მოიგონე, განა ვინმე წმიდა დაიღუპა, განა მართალნი აღმოიხოცენ? მხოლოდ უბედურებისა და ბოროტის მთესველთ მოიმკეს იგი. ბრძანებისაგან ღვთისა წარსწყმდებიან იგინი და სულისაგან რისხვისა მისისა მოაკლდებიან. უფალი თავის ანგელოსებშიაც კი ხედავს ნაკლულევანებას. მით უმეტეს ჩვენში, კაცებში, რომელნიც შექმნილნი ვართ მიწისაგან და რომელნიც ვიხოცებით მღილზე ადრე. კაცი იშობება წვალებისათვის. მწუხარებისა და უბედურების დროს მე მივიქცეოდი ღვთისადმი და გადავსცემდი ჩემს საქმეს იმას, რომელნიც იქმის დიდსა და გამოუკვლეველ საქმეთა, რომელთა არა არს რიცხვ, რომელიც მისცემს წვიმას ქვეყანასა ზედა, რომელიც მოავლენს წყალსა მინდორთა ზედა. იგი დამდაბლებულთა ჰყოფს სიმაღლესა ზედა და წარწყმედულთა აღადგენს. იგი განაბნევს ზრახვათა ბოროტთასა და იჭერს ბოროტთა მათისავე ბოროტებით. იგი იფარავს საწყალს სახმილისაგან და ხელთაგან ძლიერთა.

იობმა მიუგო ელიფასს: უკეთუმცა ვინ წონა აღწონა რისხვისა ჩემისა, ხოლო სალმობანი ჩემნი აღიღოსმცა სასწორსა ზედა ერთბაშად! იგი ქვიშისაცა ზღვის კიდისა უმძიმეს იყვნენ. ამიტომ სიტყვანიცა ჩემნი ბოროტ არიან. რამეთუ ისარნი უფლისანი ხორცთა შინა ჩემთა არიან. რომელთა გულის წყრომა შესმენ სისხლთა ჩემთა. ჰოხ, როდის აღსრულდება ჩემი სურვილი! ოხ, ნეტავი უფალი ინებებდეს და განმაქრობდეს მე, აღიპყრობდეს ხელსა თვისსა და განმარინებდეს მე! ეს მაინც იქნებოდა ჩემთვის სასიხარულო. ტანჯული მის მეგობარს მაინც უნდა ებრალებოდეს, თუმცა მას არ დაუვიწყნია შიში ღვთისა. მაგრამ ჩემნი ძმანი სტყუიან, როგორც ნაკადული, როგორც მალე მიმდინარე ღელეები, რომელნიც სითბოსაგან პატარავდებიან, ხოლო სიცხისაგან სრულიად ჰქრებიან. თქვენ იგონებთ სიტყვებს ჩემს სამხილებლად. მაგრამ რას ამტკიცებენ თქვენი მხილებანი? უბრალოდ ხარჯავთ თქვენს სიტყვებს. მე წილად მხვდა თთვენი ამაონი, და ღამენი სალმობითა მომეველინა მე.

როცა იობმა დაასრულა ლაპარაკი, მიუგო მას მისმა მეორე მეგობარმა ვალდადიმ: დიდხანს ილაპარაკებ შენ აგრე? შენი სიტყვები არიან ძლიერი ქარის მსგავსნი. ნუ თუ ღმერთი სჯის უმართლოდ? თუ შენმა შვილებმა შესცოდეს ღვთის წინაშე, იმანაც დახოცნა იგინი. თუ შენ შეევედრები ყოვლად შემძლებელს და თუ შენ წმიდა და მართალი ხარ, უფალი დღესაც შეგივედრებს შენ. ვინაიდგან უფალი არასოდეს არ დაუტევებს უბიწოს და არ შეეწევის ბოროტის მოქმედთა. იგი კიდევ აღავსებს ბაგეთა შენთა სიცილით და ბაგეთა შენთა სასიხარულო აღსარებითა და ყველა შენნი მტერნი შეიმოსებიან სირცხვილითა.

მართალია, ვიცი რომ ასეა, მაგრამ როგორ უნდა გაიმართლოს კაცმა თავის თავი ღვთის წინაშე? მიუგო იობმა. თუ მოინდომა კაცმა უფალთან ლაპარაკი, იგი, ბრძენია გონებითა და ძლიერი ძალითა, არა უსმინოს მასს. რომელი შეანძრევს მთათა, შეანძრევს მიწას მისი ადგილიდგან, ეტყვის მზეს, და არა აღმოვალს, ხოლო ვარსკვლავთა დაჰბეჭდავს; მან გარდართხნა ცაი მხოლომან და ვალს ზღვის კიდესა; იგი ჰყოფს დიდთა, გამოუკვლეველთა, დიდებულთა და საკვირველთა საქმეთა, რომელთა არა არს რიცხვი. ამგვარად შემიძლია მე, თუ რა ვრქვა უფალს? კიდეც რომ მართალი ვიყო მე, მაინც არ ვუპასუხებ მასს, ხოლო შევევედრები ჩემს მსაჯულს. კიდეც რომ ვიწყო მე ჩემი თავის გამართლება, ჩემი ბაგენი მამხილებენ მე; ვინაიდგან ღმერთი კაცი არ არის, როგორც მე, რომ უპასუხო მასს და მასთან ერთად წარვსდგე სამსჯავროს წინაშე! მე მივეცემი ჩემს მწუხარებას და ვიტყვი მწუხარებასა შინა ჩემსა. ვეტყვი უფალს: ნუ მამხილებ მე; მაუწყე მე, თუ რაისათვის მებრძვი მე? ხელთა შენთა შემქმნეს მე; შენ, როგორც თიხა, შემქმენ მე; შენ შემმოსე მე ტყავითა და ხორცითა, შენ შემანაწევრე მე ძვალითა და ძარღვითა; ცხოვრება და წყალობა მომეც მე. ხოლო ეხლა შეურაცხ-ჰყოფ საქმეთა ხელთა შენთასა. უკეთუ მე არა წმიდა ვარ, ვაი არს ჩემდა; ხოლო უკეთუ მართალ ვიყო, არ ძალმიც მოქცევად, მოხედენ უბედურებათა ჩემთა, რამეთუ მრავალ არიან იგინი. განახლდებიან ჩემზედა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისხვა შენი და უბედურებანი ერთი მეორეზე მეწევიან მე.

ამის შემდგომ აღაღო პირი იობის მესამე მეგობარმა სოფარმა და სთქვა: რომ უფალმა აღაღოს ბაგენი თვისნი და მოგითხრას შენ ძალი სიბრძნისა თვისისა, მაშინ შენ, იობო, უფრო დიდი სასჯელის ღირსი იქმნებოდი. უწყოდე, რომ უფალმა ზოგიერთი შენი უსჯულოებანი დაივიწყებას მისცა. შეგიძლია შენ სცნა კვალნი უფლისანი, ანუ მისწვდე უკანასკნელსა, რომელი ჰყო ყოვლის მპყრობელმან? იგი უმაღლეს არს ცისა და უღრმეს ჯოჯოხეთისა. მან უწყის საქ-



მენი უსჯულოთა, ხედავს ყოველივე უსჯულოებას, და არ დაუტევებს მასს უყურადღებოდ. თუ შენ გასწმენდ შენს გულს და აღიმაღლებ ხელთა შენთა ღვთისადმი, თუ განაგდებ შენ უსჯულოებას და უსამართლოებას, მაშინ ხელახლა გაბრწყინდება პირი შენი, და მაშინ დაივიწყებ მწუხარებათა შენთა; ცხოვრება შენი იქმნება უბრწყინვალეს შუადღისა და გაბრწყინდება როგორც დილა.

მიუგო იობმა სოფარს და თავის ორ მეგობარს: მეც მაქვს თქვენი მსგავსი გული; მე თქვენზე ნაკლები არა ვარ. დღეს კი ვიქმენ მე საკიცხველ მეგობართათვის, საკიცხველ—კაცი მართალი და უბიწო. ხელთა შინა უფლისა არიან სულნი ყოველთა ცხოველთა, და სული ყოვლისა კაცისა. მისთანა არს სიბრძნე და ძალი. უკეთუ მან დასცეს, ვინ აღაშენოს; ვისაც იგი დახშავს, ვინ განახსნის? იგი შეაყენებს წყალთა და ყოველივე განახმის; იგი მიავლენს წყალთა და დაფარავს ქვეყანას. მასთან არს სიბრძნე და ძლიერება. იგი გამოიყვანს ტყვეთა განმზრახველთა და მსაჯულთა ქვეყნისათა განაცვიფრებს.

რომელი მოჰფენს მთავართა ზედა უპატიოებას; იგი განარინებს ძლიერთა; იგი ჰყოფს მუნჯ მრავალ მეტყველთა, სირცხვილეულს ჰყოფს გამოჩინებულთა და მოსრავს ძალთა ძლიერთა; იგი განაცხადებს სიღრმესა ბნელისასა, განამრავლებს ხალხთა და დაამხობს მათ. იგი განფანტავს ხალხთა და შეჰკრებს მათ; იგი შესცვლის გულთა მთავართა ქვეყნისათა და აცთუნებს მათ გზათა ზედა, რომლისა არ უწყიან.

ყოველივე ესე იხილა თვალმა ჩემმან და ისმინა ყურმან ჩემმან, განაგრძო იობმა საუბარი თვისი მეგობრებთან, რაც უწყით თქვენ, უწყი მეც. ჰო, რა კარგი იქმნებოდა, უსარგებლო მკურნალნო, რომ ჩუმად იქნებოდეთ!

(შემდეგი იქმნება).

## სასარგებლო ცოდნა.

### საქონლის ჭირის წამალი.

ვინაიდგან ზემო-ქართლში ამ ჟამად მეტად მძვინვარებს საქონლის ჭირი და საქართველოს დანარჩენ მხარეებიდგანაც ისმის ასეთივე ჩივილი, მეტი არ იქმნება, რომ ეს ნაცადი წამალი გავრცელდეს გაზეთის საშუალებით. წამალი ბ-ნმან მ. ნ. რეიტერმა მიამბო და მეტად ადვილი მოსახერხებელიც არის ყველასათვის. ჭირით ავად გახდომისათანავე აღარ იცოხნის პირუტყვი, თვალებში ცრემლი მოსდის, ცხვირიდამ ნაზლი სდის, მუცელში ფაღარათობა აქვს და პირიც საშინელი ცხელი.

უნდა გაიფცქვნას ერთი გირვანქა ნიორი და დაინაყოს, მიემატოს ერთი საჭმლის კოვზი დანაყილი გვარჯილა, ერთი კოვზი დანაყილი გოგირდი, ერთი კოვზი წმიდად დანაყილი ქაფური, ერთი მუჭა დანაყილი საჭმლის მარილი და დაესხას გირვანქა ნახევარი ზეითუნის ზეთი. უნდა გაითქვიფოს, კარგად აირიოს ერთმანერთში და დღეში ერთხელ მალად შეაჭამოს ავადპირუტყვს ერთის ჩაის ჭიქით სავსე, ხოლო ორის წლის ხბოს კი ამისი ნახევარიც ეყოფა. პირუტყვი მალე გამობრუნდება და მალეც დაეტყობა კარგად გახდომა. მეორე დღესაც ერთხელ უნდა მიეცეს ერთი ჩაის ჭიქა, თუ არ გამოკარგდა და თუ ამანაც აღარ უშველარა, მეტი აღარ უნდა მიეცეს წამალი. ამ წამალს საქონელი არ შესჭამს თავის ნებით, თუ ძალად არ ჩაასხით ხახამდის. წამლის შემდეგ პირუტყვს განკალი მოსდის და ათახთახებს. დაკეტილში არ უნდა იყოლიოთ წამალნაჭამი პირუტყვი. თავისუფლად უნდა დადიოდეს. ერთის ჭამითვე საქონელი კარგად ჰხდება, იშვიათად რომ გამეორება მოინდომოს ამ წამალმა.

თურქულის წამალი კი ლიაპისია. ორ ჯერ რომ გამოუსოს პირში პატრონმა საქონელს ეყოფა. («ივერია»).

კერძო სამკურნალო

ს. ბ. თოფურიასი

მომსვლელთა ავადმყოფთათვის

და

მუდმივ საწოლებით.

ავადმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის ცხრა საათიდამ სამ საათამდის: **შინაგანი ავადმყოფთათვის** მიიღებს ს. ბ. თოფურია. **ხირურგიულისა და ვენერიულისათვის**—ლ. ა. ზავსეევი. **სხებით და ქალის ავადმყოფობისათვის**—ექიმი-ქალი მ. ფ. ძალანი. **ელექტრონით ექიმობას** იკისრებს კვირაში სამჯერ (კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით) **ნაშუადღევის ხუთ საათიდამ შვიდ საათამდის ქუთაისის** სამხედრო საავადმყოფოს უფროსი ექიმი, საექიმო მეცნიერების დოქტორი ძეიხელი.

**სამკურნალოსთან** არის გამართული კაბინეთი ავათმყოფთა დასაზელად (მასაჟისათვის) ექიმების ხელმძღვანელობით და კაბინეთი შარდისა და ნახველის გამოსაკვლევად.

ფასი ექიმობისა თითოეულ ნახვაზედ ათი შაურია. კონსილიუმი (რჩევა), რომელიც შესდგება სამკურნალოს ყველა ექიმებისაგან, ღირება 3 მანეთი. შარდის თვისებათა გამოკვლევა—ერთი მანეთი; შარდის გამოკვლევა რაოდენობის მხრით—სამი მანეთი; მიკროსკოპით გამოკვლევა ნახველისა—ორი მანეთი; დაზელვისა (მასაჟის), ელექტრონით ექიმობისა და აგრეთვე საავადმყოფოში დაწოლისა და მოვლის ფასი—გარიგებით.

მომსვლელ ავადმყოფებს მიიღებენ ბალახვანის ქუჩაზედ, სტეფანოვის სახლში. მუდმივი ქვეშაგებიან-საწოლიანი სამკურნალო იმყოფება ბოკერიას სახლში, ქუთაისის ბულვარის პირ-და-პირ.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою Кутаисъ, 30 Августа 1890 г.*
Типографія редакціи (П.Д. Гамбашидзе) Въ помѣщ. Кутаисѣ, въ домѣ бр.Ханановыхъ на Нѣмецкой ул.